პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კ-ის და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

პარასკევი 6 აგვისტო 1937 წ. № 179 (4980)

დღეს გაზეთში:

— საკურორტო ვაჭრობა (მოწინავე)
— ა. ვიშინსკი — საზოგადოებრივი საკუთრება წმიდათაწმიდა და ხელშეუხებელია.
— სსრ კავშირის მიწსახკომის, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ნაკრები ცნობა 1937 წლის 31 ივლისისათვის თავთავიანი კულტურების აღების შესახებ.
— ნ. რუბინი და ი. სერებროვი — სსრ კავშირში ფაშისტურ დაზვერვათა ძირგამომთხრელი საქმიანობისა და მასთან ბრძოლის ამოცანების შესახებ (ფელეტონი).

უცხოეთში:
— ესპანეთის ფრონტებზე.
— სამხედრო მოქმედებანი ჩრდილოეთ ჩინეთში

## საკურორტო ვაჭრობა

ბედნიერია ჩვენი ქვეყნის, გამარჯვებული სოციალიზმის ქვეყნის მშრომელი ხალხი. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ მშრომელ ხალხს ბედნიერი და საამური ცხოვრება მოუტანა. განუხრელად იზრდება მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონე. მშრომელთა ეს მზარდი ეკონომიური და კულტურული დონე ჩვენს კურორტებს ყოველწლივ სულ ახალ და ახალ მოთხოვნებს უყენებს. კურორტები, რომლებიც ძველად მხოლოდ მეპატრონეების საკურორტებს და ლოთობისა და გარყვნილების ბუდეს წარმოადგენდნენ, საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ გადაიქცნენ მშრომელთა ჯანმრთელობის ნამდვილ სამჭედლოდ. ჩვენს კურორტებზე თავს იყრიან ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ფართო მასები, წარჩინებული ადამიანები, ორდენოსნები, სტახანოველები, დამკვრელები—ჩვენი საყვარელი სოციალისტური სამშობლოს ერთგული შვილები.

განსაკუთრებით დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი კურორტებზე წელს. ეს ჩვენს საკურორტო და სავაჭრო ორგანოებს ავალებდა სანიმუშოდ დაეყენებინათ მოგარაკეთა მომსახურების საქმე, გამოეყენებინათ წინა წლების გამოცდილება, მრავალი გაფრთხილება, რაც ჰქონდათ სადირექტივო ორგანოებისაგან, აგრეთვე პრესაში გამოქვეყნებული უამრავი სიგნალები.

უხვად მოგვეპოვება სურსათ-სანოვაგე, ყოველგვარი პირობები არსებობს იმისათვის, რომ ჩვენს კურორტებზე ყველაფერი საკმაო იყოს, მაგრამ სავაჭრო ორგანოების უხეირო მუშაობით, ხოლო ზოგჯერ კლასობრივი მტრების აშკარა მავნებლობის შედეგად, რასაც კლასობრივი სიფხიზლის მოდუნება უწყობს ხელს, კურორტები განიცდიან სურსათ-სანოვაგის, პირველი მოთხოვნილების საგნების ნაკლებობას.

ის ფაქტი, რომ საქ. კურორტვაჭრობას კურორტ შოვში ვაჭრობის მოწყობის შესახებ დღემდე არ დაუდვია ხელშეკრულება ცეკავშირთან, რომელსაც, თანახმად სახკომსაბჭოს დადგენილებისა, დავალებული აქვს კურორტებზე ვაჭრობის მოწყობა, მოწმობს, რომ არც საქ. კურორტვაჭრობა და არც ცეკავშირის გამგეობა თავს არ იწუხებენ კურორტებზე მყოფ მშრომელთა სათანადო მომსახურებისათვის. უფრო მეტი, ყველაზე აღმაშფოთებელია ის, რომ საკურორტო ვაჭრობაში მეტულობს სახალხო ქონების გაფლანგვა-განიავება. მაგალითად, წყალტუბოს კურორტვაჭრობის ყოფ. გამგის, ხალხის მტრის ბოკერიას მავნებლური მუშაობის მეოხებით წყალტუბოს განყოფილება უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა. ბოკერიამ წყალტუბოს კურორტვაჭრობას 68.000 მანეთის ზარალი მიაყენა. გასულ წელსაც აქ გაფლანგვა-განიავება 38.000 მანეთს უდრიდა. ამ არამზადა მავნებლობით მარტო პირველ კვარტალში განიავდა 35.000 მანეთი.

კურორტვაჭრობის მოწესრიგების ხელისშემშლელები იყვნენ ხალხის მტრები, დივერსანტები—საქ. საკურორტო სამმართველოს მმართველი მითოთრიძე, პიკუნოვი, საქ. კურორტვაჭრობის მესვეურები ვიშაძე, წეფეიძე, მამულია. ამ არამზადებმა ადგილზე ჰყავდათ თავიანთი ჯაშუშები, რომლებიც სისტემატურ მავნებლურ-დივერსიულ მუშაობას აწარმოებდნენ, ცდილობდნენ შეეფერხებინათ კურორტების მომარაგება, მიეწოდებინათ მძაღე და გაფუჭებული სურსათი, რათა ხალხში უკმაყოფილება გამოეწვიათ. ამ არამზადებმა საკმაო ზიანი მიაყენეს კურორტვაჭრობის საქმეს. მაგალითად, წყალტუბოში მოკალათებული სპეკულანტები, გამფლანგველები, კომბინატორები აფუჭებდნენ პროდუქტებს. ამ მავნებლებს წყალტუბოს მაცივრიდან გამოჰქონდათ დიდძალი კვერცხი და მას მანამდე ინახავდნენ ცხელ ადგილას, სანამ გაფუჭდებოდა და მხოლოდ გაფუჭების შემდეგ აწვდიდნენ მომხმარებლებს.

მომარაგების საქმე უკეთ არ არის ბორჯომის, აბასთუმნის და აჭარის კურორტებზედაც. აქ სანატორიუმებისა და დასასვენებელ სახლებს ცუდი ხარისხის ხორცს აწვდიან. „საქხორცტრესტი", სადაც ხალხის მტერი ლიცინერი „მოღვაწეობდა", ძალზე მცირე ხორცს აწვდის ამ კურორტებს, ხოლო ზოგიერთ კურორტს სულ არ აწვდის ცხვრის ხორცს. ასეთივე მდგომარეობაა ფრინველის მიწოდების საქმეშიაც.

კოველად უმსგავსოდ არის დაყენებული ბოსტნეულითა და ხილით მომარაგების საქმე. აღმაშფოთებელია, რომ დღემდე ბოლო არ მოეღო პურის წერტებთან კუდების გამართვას. ზოგან ამ საქმის „ხელმძღვანელებს" პური გასასყიდად მხოლოდ 12 საათზე გამოაქვთ. პური ხშირად ცომია. ყველგან არ არის მოწყობილი ნავთით ვაჭრობა და სხვ.

ზემოხსენებული ფაქტები ნათლად მოწმობენ, რომ კურორტვაჭრობის ორგანოებმა თავი ვერ დააღწიეს მავნებლობათა შედეგებს. კურორტვაჭრობის ორგანოებში ჯერ კიდევ მოკალათებული არიან კლასობრივი მტრების ნამსხვრევები. ეს მოწმობს აგრეთვე იმას, რომ კურორტვაჭრობის საქმე მხედველობიდან „გაუშვეს" როგორც შინავაჭრობის კომისარიატმა, ისე სათანადო რაიონულმა პარტკომებმა და საბჭოთა ორგანოებმა. სჩანს, მათ დაავიწყდათ ამხ. ლ. ბერიას მითითება, რომ ჩვენი ამოცანაა საქართველო გადავაქციოთ მშრომელთა ჯანმრთელობის სრულიად საკავშირო კერად. ამხ. ბერიას ამ მითითებიდან საკურორტო და სავაჭრო ორგანოებს ჯერ კიდევ ვერ გამოუტანიათ შესაფერი დასკვნა. სავაჭრო ორგანოებმა ვერ უზრუნველყვეს ნამდვილი გაშლილი კულტურული ვაჭრობა.

დრო არ ითმენს. საკურორტო სეზონი დასასრულს უახლოვდება. შინავაჭრობის კომისარიატმა, რაიონულმა პარტკომებმა და საბჭოთა ორგანოებმა დაუყოვნებლივ უნდა მოჰკიდონ ხელი საკურორტო ვაჭრობის ძირეულიანად გაუმჯობესების საქმეს. დავრაზმოთ ვაჭრობის დარგში მომუშავე პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკები და გავაცამტვეროთ სავაჭრო ორგანოებში შეპარული კლასობრივი მტრის ნამსხვრევები. ბრძოლა ნამდვილი გაშლილი კულტურული ვაჭრობისათვის,—ასეთია საბრძოლო ამოცანა ყველა პარტიული და არაპარტიული ბოლშევიკისა.

## დამტკიცებულია სახელმწიფო სასელექციო სადგურების ქსელი

„მარცვლეულ კულტურათა თესლის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ" სსრ კავშირის სახკომსაბჭოს მიერ მიღებულ დადგენილებასთან დაკავშირებით, დამტკიცებულია სახელმწიფო სასელექციო სადგურების ქსელი 25 ოლქსა, მხარესა და რესპუბლიკაში.

აზოვ-შავიზღვის მხარეში ეწყობა 3 სახელმწიფო სასელექციო სადგური: კრასნოდარში, ვერბლიუდის სადგურთან და ტარასოვკაში. ორჯონიკიძის მხარეში სადგური იქმნება ვოროშილოვსკში.

კიევის ოლქში სახელმწიფო სასელექციო სადგური ეწყობა მირონოვკაში, ხარკოვის ოლქში — ხარკოვში, ჩერნიგოვის ოლქში—ნოსოვკაში, ვინიცის ოლქში—ნემერჩში.

ქ. არტემოვსკში ეწყობა დონეცის ოლქის სახელმწიფო სასელექციო სადგური.

ვორონეჟის ოლქში ეწყობა ორი სახელმწიფო სასელექციო სადგური ტალავოისა და ჩაკინოში.

კურსკის ოლქში სასელექციო სადგური ეწყობა ხომუტოვოში, სარატოვის ოლქში — სარატოვში, ვოლგის მხარის გერმანელთა ასს რესპუბლიკაში—კრასნ. კუტში, ბელორუსიაში — [illegible].

კალინინის ოლქში სახელმწიფო სასელექციო სადგური ეწყობა საბჭოთა მეურნეობა „[illegible]" [illegible] რაიონში.

ივანოვის ოლქის სახელმწიფო სასელექციო სადგური ეწყობა ალექსანდროვის რაიონში; იაროსლავლის ოლქში —საბჭოთა მეურნეობა „ოსვობოჟდენიეში", კიროვის ოლქში — ფალევკის სადგურთან თათართა ასს რესპუბლიკაში — ყაზანში—ბაშკირეთში სახელმწიფო სასელექციო სადგური ეწყობა ჩიშმის სადგურთან.

აზერბეიჯანში სადგური ეწყობა ქ. ტერტერში, სამხრეთ-ყაზახეთის ოლქში — კელესკის რაიონში; აღმოსავლეთ - ყაზახეთის ოლქში — სემიპალატინსკში; დასავლეთ ყაზახეთის ოლქში—ურალსკში.

აღმოსავლეთ - ციმბირის ოლქში სასელექციო სადგური ეწყობა ტულუნში, მორდვის ასს რესპუბლიკაში — სარანსკთან. ჩელიაბინსკის ოლქში—მაკუშინოში.

## მიტინგი იაროსლავლში ამხ. ჩკალოვის პატივსაცემად

**იაროსლავლი,** 4 აგვისტო (საქდესი). საბჭოთა კავშირის გმირის თვითმფრინავ „ანტ-25"-ის უფროსის პოლკოვნიკ ჩკალოვის იაროსლავლში ჩამოსვლის აღსანიშნავად საბჭოთა მოედანზე გაიმართა დიდი მიტინგი. ქალაქის 80 ათასი მშრომელი მქუხარე ოვაციით შეეგება ამხ. ჩკალოვს, რომელმაც დაწვრილებით უამბო მათ გადაფრენის შესახებ.

გმირს მიესალმნენ ქალაქის საწარმოთა და ჯარის ნაწილების სტახანოველები.

მიტინგზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) იაროსლავლის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. ზიმინი.

მიტინგმა ერთხმად მიიღო მისალმება გამარჯვებათა ორგანიზატორის, ხალხთა დიდი ბელადის ამხ. სტალინისადმი.

## ესპანეთის ფრონტებზე

(საკავშირო დეპეშათა სააგენტოს ცნობებით)

### ცენტრალური ფრონტი.

გვადალახარის რაიონში რესპუბლიკელებმა წარმატებით ჩაატარეს ოპერაცია ალმადრონესის უბანზე და ახლა უშუალოდ ემუქრებიან მეამბოხეთა პოზიციებს არხესილიაში (15 კილომეტრზე ბრიუგის ჩრდილო-აღმოსავლეთით). მეამბოხეებმა დიდი ზარალი ნახეს.

სიერა გვადალუპში რესპუბლიკელებმა ხანმოკლე, მაგრამ გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მოიგერიეს მეამბოხეთა იერიში და უკან დაახევინეს მათ. რესპუბლიკელთა საზენიტო ქვემეხებმა უკუაქციეს ფაშისტური თვითმფრინავები, რომლებიც რესპუბლიკელთა პოზიციების თავზე დაფრინავდნენ.

3 აგვისტოს დღისით და ღამით მეამბოხეები გაძლიერებულათ უშენდნენ ყუმბარებს მადრიდს.

### აღმოსავლეთის (არაგონიის) ფრონტი

4 აგვისტოს სოფელ ბადენასის რაიონში რესპუბლიკელებმა, რომლებიც განაგრძობდნენ შეტევას, დაიკავეს სოფელი რუდილია და რამდენიმე კილომეტრით წინ წაიწიეს ისე, რომ მეამბოხეებს სერიოზული წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ხელთ იგდეს მრავალი ტყვე, აგრეთვე დიდძალი პირუტყვი.

მეამბოხეებმა უშედეგოდ სცადეს რესპუბლიკელებზე იერიშის მიტანა სალსედილიოში.

რესპუბლიკელთა ჯარებმა გააუმჯობესეს თავიანთი პოზიციები ბესასის რაიონში (ტერუელის სამხრეთ-დასავლეთით), დაიკავეს რა პუნტა დე ლასარის მაღლობი. გუშინ მეამბოხეების მიერ დაწყებული შეტევა ამ რაიონში რესპუბლიკელებმა მოიგერიეს. მეამბოხეებმა ფრიად საგრძნობი ზარალი ნახეს.

საკავშირო დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი ვალენსიიდან იუწყება, რომ ჭრილობათა უმრავლესობა, რომლებიც რესპუბლიკის მეომრებმა მიიღეს არაგონის ფრონტზე, გამოწვეულია სასკდომი ტყვიებით „დუმ-დუმ". ამ ფრონტზე ტყვედ წამოყვანილ იტალიელ ჯარისკაცებს სავაზნეები გატენილი ჰქონდათ სასკდომი ტყვიებით.

### ჩრდილოეთის ფრონტი

4 აგვისტოს სანტანდერის უბანზე მეამბოხეთა არტილერია ინტენსიურად უშენდა ყუმბარებს რემერო დე ბრისიასს.

### სამხრეთის ფრონტი

გრენადის რაიონში მეამბოხეთა არტილერია ესროდა რესპუბლიკელთა პოზიციებს.

○

თავდაცვის სამინისტროს ცნობით, 4 აგვისტოს რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს გარის აეროდრომს (სორიას პროვინცია), სადაც იყო მეამბოხეთა 12-მდე თვითმფრინავი. აეროდრომის ბომბარდირების დროს „ფიატის" ტიპის 12 თვითმფრინავმა უშედეგოდ სცადა ხელი შეეშალა რესპუბლიკელთა ავიაციის ოპერაციებისათვის.

პრავიას რაიონში, ჩრდილოეთის ფრონტზე, რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს მეამბოხეთა სიმაგრეებს.

○

3 აგვისტოს მეამბოხეთა ავიაცია შეეცადა ყუმბარები დაეშინა ბარსელონისთვის, მაგრამ უკუქცეულ იქნა რესპუბლიკელთა საზენიტო ქვემეხებით.

ფაშისტების 4 ყუმბარმშენმა, რომლებიც მაიორკას კუნძულზე არსებული ავიაბაზიდან აფრინდნენ, ყუმბარები დაუშინა ესპანეთის სანაპიროებს რეუსის და ქალაქ ტარაგონის მახლობლად (ბარსელონის სამხრეთ-დასავლეთით).

## ესპანეთში უცხოელთა ინტერვენციის საკითხი ერთა ლიგის საბჭოში

**ჟენევა,** 3 აგვისტო (საქდესი). ჟენევაში დიდი ინტერესი გამოიწვია ცნობამ იმის შესახებ, რომ ერთა ლიგის პლენუმის მომავალ სხდომაზე სექტემბერში ესპანეთის მთავრობას განზრახული აქვს დასვას საკითხი ესპანეთის წინააღმდეგ უცხოელთა აგრესიის შესახებ და რომ ესპანეთის დელეგაციაში შევლენ ნეგრინი, ხირალი და ალვარეს დელ ვაიო. ერთა ლიგის წრეებში მოელიან, რომ ესპანეთის მთავრობა ჟენევაში გამოგზავნის ოფიციალურ ცნობას იმის შესახებ, რომ იგი ამ საკითხს აყენებს ერთა ლიგის საბჭოს წინაშე, თანახმად წესისა, რომელიც გათვალისწინებულია ერთა ლიგის წესდების მე-15 მუხლით.

## კომუნისტურ და სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის კავშირურთიერთობის კომიტეტის სხდომა

**ვალენსია,** 4 აგვისტო (საქდესი). დიდი გულწრფელობის ატმოსფეროში შესდგა ვალენსიის პროვინციის კომუნისტურ და სოციალისტურ ორგანიზაციებს შორის კავშირურთიერთობის კომიტეტის პირველი სხდომა. სხდომაზე დაადგინეს მიმართონ ორივე პარტიის ორგანიზაციებს წერილით, რომელიც შეიცავს ზუსტ მითითებებს მომავალი საერთო მუშაობის შესახებ.

## ამხ. გრომოვი, იუმაშევი და დანილინი გამოემგზავრნენ საბჭოთა კავშირში

**ნიუ-იორკი,** 5 აგვისტო (საქდესი). ამხ. გრომოვი, იუმაშევი და დანილინი ოკეანის გემით „ნორმანდიით" გაემგზავრნენ საბჭოთა კავშირში. ნავმისადგომში და „ნორმანდიაზე" საბჭოთა მფრინავების გასაცილებლად დიდძალი ხალხი შეგროვდა. ყვავილები, გამოსათხოვარი მისალმებანი, აღტაცებული შეძახილები საბჭოთა მფრინავების მისამართით. ბევრი სამუშაო აქვთ ფოტოგრაფებს. „მკვლევართა კლუბისაგან" დაესწრო დელეგაცია ცნობილი ამერიკელი პოლარელი მკვლევარის სტიფანსონის მეთაურობით. გაცილებას დაესწრო მრავალი სხვა ცნობილი მკვლევარი და მფრინავი. „ნორმანდიიდან" საბჭოთა მფრინავებმა წარმოსთქვეს სიტყვები რადიოთი, მათ მადლობა გადაუხადეს ამერიკის ხალხს გულთბილი მიღებისათვის და გამოსთქვეს რწმენა, რომ მოეწყობა კომერციული ტრანსპოლარული საჰაერო გზა. მფრინავთა სიტყვები მთელს სახელმწიფოში გადაცემულ იქნა რადიოთი.

გემის გასვლის წინ საბჭოთა მფრინავებმა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს ხელლს, სამხედრო მინისტრს ზუდრინგს, ვაჭრობის მინისტრს როპერს და ამერიკის შეერთებული შტატების არმიის საავიაციო კორპუსის უფროსს გენერალ ვესტოვერს გაუგზავნეს დეპეშები, რომლებშიაც მადლობას უცხადებენ მათ თანამშრომლობისა და გულთბილი მიღებისათვის.

## საბჭოთა ფეხბურთელების გამარჯვება პარიზში

**პარიზი,** 4 აგვისტო (საქდესი). დღეს პარიზში, ბუფალოს სტადიონზე, საბჭოთა კავშირისა და ინგლისის გუნდებს შორის შესდგა ნახევარფინალო მატჩი საერთაშორისო თასისათვის ფეხბურთში. მატჩი, რომელსაც დაახლოებით 20 ათასი მაყურებელი დაესწრო, მოაწყო მუშათა სასპორტო ფედერაციამ. მატჩი დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების ბრწყინვალე გამარჯვებით, მოიგეს რა ანგარიშით 4:0.

შეჯიბრებას დაესწრნენ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საქმეთა მინისტრის ამხანაგი ლაგრანჟი, აგრეთვე სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენელი საფრანგეთში ამხ. სურიცი.

# საბჭოთა კავშირში



ხარკოვის კოქს - ქიმიური საცდელი ქარხანა. სურათზე: ქარხნის სკრუბერების — აირმრეცხველების საერთო ხედი.

ფოტო ი. საპოჟნიკოვისა („სოიუზფოტო").

## სსრ კავშირის მეგობართა საზოგადოების წევრების ჯგუფის ჩამოსვლა.

**მოსკოვი,** 4 აგვისტო (საქდესი). 4 აგვისტოს დილის მატარებლით ნეგორელოედან მოსკოვში ჩამოვიდა სსრ კავშირის მეგობართა საფრანგეთის საზოგადოების წევრთა დიდი ჯგუფი. ჯგუფში შედის 77 კაცი. სტუმრების უდიდეს უმრავლესობას შეადგენენ სხვადასხვა პროფესიის მუშები: მეტალურგები?, რკინიგზელები, მშენებლები, აგრეთვე დახლის მუშაკები და პედაგოგები. დელეგატებს შორის 15 ქალია.

სტუმრები მოსკოვში დაჰყოფენ 7 აგვისტომდე და ინახულებენ დედაქალაქის მთელ რიგ საწარმოს.

7 აგვისტოს ჯგუფი მთელი შემადგენლობით გაემგზავრება ლენინგრადში, სადაც მას განზრახული აქვს დაჰყოს ოთხიოდე დღე, შემდეგ კი გაემგზავრება სამშობლოში.

## ინტერესი სამხედრო საქმისადმი ყაზახებს შორის

**დონის - როსტოვი,** 5 აგვისტო (საქდესი). ჩვენი სამშობლოს მგზნებარე პატრიოტები, დონის ახალგაზრდა კოლმეურნე ყაზახები დიდ ინტერესს იჩენენ სამხედრო საქმისადმი. წელს შემჩნეულია ყაზახების უმაგალითო მოზღვავება სამხედრო სასწავლებლებში. მაგალითად, მილეროვის საქალაქო სამხედრო კომისარიატში 120 კოლმეურნე ყაზახმა შეიტანა განცხადება, რომ მათ სურთ შევიდნენ საცხენოსნო, საარტილერიო, ჯავშნოსან - სატანკო, ფეხოსანთა და სხვა სამხედრო სასწავლებლებში. ექიმები აღნიშნავენ სამხედრო სასწავლებლებში შემავალი ახალგაზრდობის განსაკუთრებულ ფიზიკურ განვითარებას.

ამ დღეებში საარტილერიო სასწავლებელში გამოცდების ჩასაბარებლად გაემგზავრებიან ახალგაზრდა კოლმეურნე ყაზახები გოლუბევი და კომარისტოვი. მათ აღტაცებით აცნობეს შინ, რომ გამოცდები ჩააბარეს და უკვე ჩარიცხული არიან სასწავლებელში.

## ახალი ნიმუშის სატელეფონო აპარატურა

**ლენინგრადი,** 4 აგვისტო (საქდესი). ქარხანა „კრასნაია ზარიამ" დაამუშავა რამდენიმე ახალი ნიმუშის სატელეფონო აპარატები. გამოშვებულია საცდელი კომუტატორები საწარმოთათვის. კომუტატორი გათვალისწინებულია 19 ადგილობრივი აბონენტისათვის და დაკავშირებულია ქალაქის სატელეფონო ხაზთან. სატელეფონო აპარატის შიგნით მოთავსებულია მიკროფონი და ხმამაღლა მოლაპარაკე. საწარმოს ხელმძღვანელს შეუძლია ელაპარაკოს საამქროებში მყოფ მუშაკებს ისე, რომ ტელეფონის მილაკით არ ისარგებლოს.

აგებულია სპეციალური მოწყობილობის სატელეფონო აპარატები, რომლებიც აძლიერებენ ბგერის ძალას.

## მისაღები გამოცდები სამხედრო სასწავლებლებში

**ლენინგრადი,** 4 აგვისტო (საქდესი). ლენინგრადის ყველა სამხედრო სასწავლებელში მიმდინარეობს მისაღები გამოცდები. სასწავლებელთა სარდლობა კარგად მოემზადა მომავალ ლეიტენანტთა შესახვედრად. ასე მაგალითად, შემსვლელთ, რომელთაც ერთგვარი მომზადება ესაჭიროებათ, დაეთმოთ საკლასო ოთახები სახელმძღვანელოებით. მოწყობილია კონსულტაცია.

ლენინგრადის სამხედრო სასწავლებლებში შეტანილია 4.618 განცხადება, გამოცდებზე დაშვებულია 2.419 კაცი.

ახალგაზრდობის განათლების დონე შარშანდელთან შედარებით გაცილებით მაღალია. 156 კაცი სამხედრო სასწავლებლებში გადადის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლიდან. ათწლედდამთავრებულნი 30 პროცენტზე მეტს შეადგენენ. შემსვლელთა შორის 1.649 კომკავშირელია.

## სამხედრო მოქმედებანი ჩრდილოეთ-ჩინეთში

### მსხვილი მასშტაბის გადამწყვეტი შეტაკება აუცილებელია

**ტოკიო,** 4 აგვისტო (საქდესი). არ მოჰყავთ, რა, როგორც ჩვეულებრივ, არავითარი ცნობები იაპონიის სამხედრო ღონისძიებათა შესახებ, ყველა გაზეთი დღეს აცხადებს, რომ რამდენადაც ნანკინის სამხედრო ხელისუფალნი „შეუპოვრად განაგრძობენ თავიანთ ღონისძიებებს ბეიპინ-ტიანძინის რაიონის გარშემორტყმისათვის", წინ მოჰყავთ რა ჯარები სამხრეთიდან, დასავლეთიდან და ჩრდილოეთიდან, „მსხვილი მასშტაბის გადამწყვეტი შეტაკება აუცილებელია და, ალბათ, მოხდება ბაოდინის მახლობლად".

როგორც ჩრდილო-ჩინეთში მყოფი იაპონიის ჯარების სარდლობამ გამოაცხადა, იაპონიის ავიაციამ 3 აგვისტოს დილით რამდენიმე ადგილას ყუმბარები დაუშინა ნანკინის ჯარების ეშელონებს, რომლებიც ბეიპინ-სუიუანის რკინიგზით მიდიოდნენ. ავიორაზმმა ყუმბარები დაუშინა ნანკინის დივიზიის ეშელონს, რომელიც კალგანიდან ნანკოუში მიდიოდა. იმავე რაზმმა ჯატაოჩენის მახლობლად ყუმბარები დაუშინა ჩინეთის ჯავშნიან მატარებელს და მთელ რიგ სამხედრო ეშელონებს, რომლებიც ბეიპინ-სუიუანის რკინიგზით მიიწევდნენ. იაპონიის გაზეთები იუწყებიან, რომ მე-29 არმია, რომელმაც სამხრეთისაკენ დაიხია, ამჟამად ახდენს თავისი ძალების რეორგანიზაციას და ემზადება, რათა დახმარება აღმოუჩინოს ნანკინისა და სუიუანის ჯარებს და რომ იაპონიის ჯარებმა დაიკავეს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული პუნქტები—იანლუნცინი, ჩანსინდიანი და ლიანსანი.

გაზეთი „ნიჩი ნიჩი" თავის მოწინავეში სწერს: „ახლანდელ ვითარებაში იაპონიამ ხელი უნდა აიღოს მშვიდობიანი საშუალებებით მდგომარეობის გაუმჯობესების იმედებზე. ერთადერთი გზა, რომელიც იაპონიისათვის დარჩენილია, ეს არის მისცეს ნანკინს საგნობრივი გაკვეთილი".

## ახალი ასპარეზი ინტერვენციისათვის

**ტოკიო,** 4 აგვისტო (საქდესი). გაზეთი „ასახი" ახასიათებს იაპონიის ჯარების ურთიერთობას უცხოეთის ჯარებთან ტიანძინში და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ იტალიის სარდლობამ დიდი სამსახური გაუწია იაპონიის ჯარებს, ნება დართო რა მათ ტიანძინში ბრძოლების დროს აეშენებინათ პონტონის ხიდი მდინარე ბეიხეზე, იტალიისა და იაპონიის კონცესიებს შორის.

## ტიანძინსა და ტანგუში გრძელდება იაპონიის სამხედრო გემების მოსვლა

**შანხაი,** 4 აგვისტო (საქდესი). სენტრალ ნიუსის სააგენტო იუწყება, რომ ტიანძინსა და ტანგუში გრძელდება იაპონიის სამხედრო გემების მოსვლა. 2 აგვისტოს ტიანძინში მოვიდა იაპონიის ჯარის ქვეითი ნაწილი, რომელიც ორ ათასზე მეტი კაცისაგან შესდგება და რომელსაც თან აქვს არტილერია. უახლოეს დროში მოელიან ჯარების მოსვლას კორეიდან, სადაც პირველ აგვისტოდან შეჩერებულია სამგზავრო და სატვირთო მიმოსვლა რკინიგზებზე. იაპონიის სამხედრო ტრანსპორტები განუწყვეტლივ მოდიან ჩრდილო-ჩინეთის სხვადასხვა პუნქტებში. მარტო ცინდაოში უკანასკნელ დღეებში მოვიდა ათზე მეტი ასეთი ტრანსპორტი. იაპონიის საფეიქრო ფაბრიკები შანხაისა და ცინდაოში გადაქცეულია იაპონიის ჯარების ყაზარმებად.

გაზეთების ცნობებით, ცინდაოში გამეფებულია პანიკა. ჩინური მოსახლეობა საჩქაროდ სტოვებს ქალაქს. გაზეთ „შანხაი ივნინგ პოსტის" ცნობით, ცინდაოდან უკვე გავიდა დაახლოებით 20 ათასი ჩინელი. ქალაქის მერმა გამოუშვა სპეციალური მიმართვა მოსახლეობისადმი სიწყნარის დაცვის შესახებ.

## გადასახადების გადიდება იაპონიაში

**ტოკიო,** 3 აგვისტო (საქდესი). ყველა გაზეთი იუწყება, რომ პირვანდელი გეგმა—ჩრდილო ჩინეთში „ინციდენტის" გამო მეორე დამატებითი ბიუჯეტის ხარჯების ნაწილის დაფარვის შესახებ „ზემოგებათა განსაკუთრებული დაბეგვრის" გზით ცნობილია არარეალურ გეგმად. მინისტრთა საბჭომ საბოლოოდ გადასწყვიტა ამ ხარჯების ნაწილი დაფაროს მთელი რიგი გადასახადების გადიდებისა და ახალი არაპირდაპირი გადასახადების შემოღების გზით.

იაპონიის ფინანსიურ და სავაჭრო-სამრეწველო წრეებში საერთოდ უკმაყოფილონი არიან გადასახადების გადიდებით. მაგრამ, ამ წრეების წარმომადგენლებს, ესმით რა, რომ შესძლებენ გადასახადების მნიშვნელოვანი ნაწილი ადვილად დააკისრონ მასობრივ მომხმარებელს, ალბად მოიწონებენ ამ გეგმას, მით უფრო, რომ იგი რამდენადმე შეამცირებს სახელმწიფო სესხების გამოშვებას საბიუჯეტო დეფიციტის დასაფარავად.

გაზეთი „ასახი" საღამოს გამოცემაში აღნიშნავს, რომ მეორე დამატებითი ბიუჯეტი ჩრდილო-ჩინეთის „ინციდენტის" გამო შეადგენს 500 მილიონზე მეტ იენს, რამდენადაც სამხედრო სამინისტრო მოითხოვს 300-დე მილიონ იენს, საზღვაო სამინისტრო—200-დე მილიონ იენს, ხოლო საგარეო საქმეთა სამინისტრო 6 მილიონ იენს. გაზეთი აღნიშნავს, რომ საგარეო საქმეთა სამინისტროს ასიგნობანი სჭირდება ჩინეთიდან იაპონელ რეზიდენტების ევაკუაციის ხარჯებისათვის, სატელეგრაფო ხარჯებისათვის და სხვ. სამხედრო და საზღვაო სამინისტროების მსხვილ ასიგნობათა კონკრეტულ დანიშნულებაზე გაზეთი არ სწერს.

## ჩინეთის სამხედრო საჰაერო ფლოტის სამსახურში

**ნიუ-იორკი,** 2 აგვისტო (საქდესი). როგორც „ნიუ-იორკ ტაიმსი" ლოს-ანჟელოსიდან იუწყება, იქ გავრცელდა ხმები, რომ ამერიკის 182 მფრინავი შევიდა ჩინეთის სამხედრო-საჰაერო ფლოტის სამსახურში.

## ჩინეთის პრესა ტიანძინში საბჭოთა საკონსულოზე თავდასხმის შესახებ

**ბეიპინი,** 4 აგვისტო (საქდესი). ჩინეთის პრესა ათავსებს პირველ ცნობებს იმის შესახებ, რომ 1 აგვისტოს ტიანძინში საბჭოთა საკონსულოს თავს დაესხა თეთრგვარდიელთა ბანდა „გარკვეული ეროვნების" პირთა მონაწილეობით. გაზეთები აღნიშნავენ, რომ იაპონიის ჯარების მიერ თავისუფლად გაშვებული რაზმი ბანდიტებისა, რომელთა გვარები ცნობილია, შაშხანებით და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული საბარგო ავტომობილებით მიადგა საკონსულოს.

„ბანდიტებმა,—სწერენ გაზეთები,—დაიტაცეს ყველაფერი, რის წაღებაც კი შეიძლებოდა, და გაანადგურეს ადგილზე ყველაფერი, რის წაღებაც შეუძლებელი აღმოჩნდა. ამჟამად საკონსულო წარმოადგენს ისეთ სურათს, თითქოს მან პირველყოფილ ველურთა თავდასხმა განიცადა.

## ნანკინის დაცვის მომზადება

**ლონდონი,** 4 აგვისტო (საქდესი). (ტელეფონით „იზვესტიას" საკუთარი კორესპონდენტისაგან). რეიტერის სააგენტოს მიერ ნანკინიდან მიღებული ცნობების თანახმად, დაიწყო ევაკუაცია სამოქალაქო მოსახლეობისა; იგი დედაქალაქიდან გადის იმის შიშით, რომ იაპონელები არ შეჩერდებიან იმის წინაშე, რათა ყუმბარები დაუშინონ ქალაქს ჰაერიდან და ზღვიდან ჩინეთთან დიდი ომის შემთხვევაში.

მთავრობამ წინადადება მისცა სახელმწიფო დაწესებულებათა ყველა მოხელეს გაიყვანონ თავიანთი ოჯახები, ვინაიდან შესაძლებელია სიძნელეები სურსათის მხრივ. გზათა სამინისტრომ და საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავიანთ მოსამსახურეებს ევაკუაციისათვის მისცეს ერთი თვის ხელფასი.

დღეს დამთავრდა მზადება ნანკინისა და მდინარე იანძიზე მდებარე ნავსადგურების დაცვისათვის. დღესვე სამხედრო მინისტრის მოადგილემ მთავრობის სხდომაზე გააკეთა მოხსენება დედაქალაქისა და ნავსადგურების დაცვის მდგომარეობის შესახებ.

**ჯენკინსი.**

## ინგლის-იტალიის ურთიერთობანი

**ლონდონი,** 3 აგვისტო (საქდესი). რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ თუმცა ჩემბერლენისა და მუსოლინის მიერ ერთმანეთისათვის მეგობრული წერილების გაგზავნამ როგორც იმედი აქვთ, შექმნა ახალი ატმოსფერო, რაც ხელსაყრელია ინგლის-იტალიის ურთიერთობისათვის, მაგრამ მხარეებს არ მიუღიათ არავითარი ვალდებულებანი.

წერილების გაცვლა-გამოცვლას არა აქვს უშუალო დამოკიდებულება ჩაურევლობასთან, დასავლეთის პაქტთან, აბისინიასთან ან სხვა რომელიმე კონკრეტულ საკითხთან. ფიქრობენ, რომ წერილების გაცვლა-გამოცვლა ხელს შეუწყობს ურთიერთ ეჭვების აღმოფხვრას.

ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ფართოდ არის გავრცელებული აზრი, რომ ურთიერთობის გაუმჯობესება რომსა და ლონდონს შორის ხელს შეუწყობს ევროპაში მდგომარეობის დაძაბულობის შესუსტებას.

ა. ვიშინსკი

# საზოგადოებრივი საკუთრება წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელია

(1932 წლის 7 აგვისტოს კანონის ხუთი წლისთავისათვის).

1932 წლის 7 აგვისტოს სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა და სახალხო კომისართა საბჭომ გამოსცეს დადგენილება „სახელმწიფო საწარმოთა, კოლმეურნეობათა და კოოპერაციის ქონების დაცვისა და საზოგადოებრივი (სოციალისტური) საკუთრების განმტკიცების შესახებ".

ამ დადგენილების განსაკუთრებული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ მან წმინდათაწმინდად და ხელშეუხებლად გამოაცხადა საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, რომელიც სოციალიზმის ერთერთ უმნიშვნელოვანეს, ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს.

დიადმა სტალინურმა კონსტიტუციამ დაამტკიცა საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების, როგორც სსრ კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური საფუძვლის, როგორც მთელი საბჭოთა წყობილების საფუძვლის, ბატონობა. მან სსრ კავშირის თვითეულ მოქალაქეს დააკისრა მოვალეობა „გაუფრთხილდეს და განამტკიცოს საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება, როგორც საბჭოთა წყობილების წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელი საფუძველი, როგორც სამშობლოს სიმდიდრისა და ძლიერების წყარო, როგორც ყველა მშრომელის შეძლებული და კულტურული ცხოვრების წყარო". (სსრ კავშირის კონსტიტუციის მუხ. 131).

სავსებით ბუნებრივია, რომ ისეთი განსაკუთრებული როლის დროს, რომელსაც ჩვენი ქვეყნის მთელს სახალხო-სამეურნეო ცხოვრებაში თამაშობს საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება, კლასობრივმა მტერმა იწყო თავისი ძირითადი ძალღონის მიმართვა სწორედ მის წინააღმდეგ.

სამოქალაქო ომის ეპოქაში აშკარა ბრძოლებში განადგურებული, გაბოროტებული კლასობრივი მტერი, რომელმაც უკვე დაჰკარგა წარსული ბატონობის ეკონომიური და პოლიტიკური აღდგენის იმედი, თავისი მხეცური სიძულვილის მთელი სიძლიერით თავს დაესხა ახალ სოციალისტურ წყობილებას და სოციალისტურ საკუთრებას.

კლასობრივი მტრის ეს გააფთრებული წინააღმდეგობა 1932-33 წლების პირობებში გამოიხატა მავნებლობის ათასობით დიდ და პატარა აქტებში, საბოტაჟში, აშკარა დივერსიებში, კულაკთა, თეთრგვარდიელთა და ფაშისტების აგენტთა აშკარა ტერორისტულ თავდასხმებში საბჭოთა ხელისუფლების, პარტიის, საბჭოთა საზოგადოებრივობის წარმომადგენლებზე. კლასობრივი ბრძოლის ამ გააფთრებულობამ თავისი გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე სახელმწიფო და კოოპერატიულ ქონებაზე, საზოგადოებრივ ქონებაზე ხელყოფაში.

კლასობრივი მტრის ამ გამოსვლების საპასუხოდ 1932 წლის 7 აგვისტოს გამოიცა კანონი საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების დაცვის შესახებ.

ამ კანონის გამოცემისას სსრ კავშირის ცაკი და სახკომსაბჭო გამოდიოდნენ იმ გარემოებიდან, რომ „საზოგადოებრივი საკუთრება (სახელმწიფო, საკოლმეურნეო, კოოპერატიული) წარმოადგენს საბჭოთა წესწყობილების საფუძველს, იგი წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელია და ადამიანები, რომელნიც ხელყოფენ საზოგადოებრივ საკუთრებას, მიჩნეულ უნდა იქნან, როგორც ხალხის მტრები..."

საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე გაიზარდა და განმტკიცდა შრომისადმი ახალი დამოკიდებულება, გაჩაღდა სტახანოვური მოძრაობა. საზოგადოებრივი საკუთრების საფუძველზე შეიქმნა მოქალაქეთა ახალი დამოკიდებულება სახელმწიფოსა და საზოგადოებისადმი, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესებისადმი.

საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრება წარმოადგენს საბჭოთა წყობილების საფუძველს ისევე, როგორც კაპიტალიზმის საფუძველს წარმოადგენს კერძო საკუთრება.

კაპიტალისტებმა კერძო საკუთრება წმინდათაწმინდად და ხელშეუხებლად გამოაცხადეს და ამ საკუთრების დამცველად მიუჩინეს თავისი სისხლიანი და საშინელი კანონები.

კაპიტალისტური კერძო საკუთრების ისტორია აღსავსეა კაპიტალის მიერ ექსპლოატირებული და განადგურებული მშრომელი მასების სისხლით, ადამიანთა სისხლის ნაკადებით, მდინარეებით და ოკეანებით. უხეში, აშკარა ძალადობა, რომელიც არაფერს ანგარიშს არ უწევს, პირდაპირი ძარცვა და თაღლითობა — აი საშუალებანი, რომელთა შემწეობითაც კერძო კაპიტალისტურმა საკუთრებამ გზა გაიკაფა ცხოვრებისაკენ.

კაპიტალისტურ კერძო საკუთრების წარმოშობას კ. მარქსი შემდეგნაირად ახასიათებს: „ოქროს და ვერცხლის სამადნოების აღმოჩენა ამერიკაში, მკვიდრი მოსახლეობის აღმოფხვრა, დამონება და ცოცხლად დამარხვა მაღაროებში, ოსტ-ინდოეთის დაპყრობისა და გაძარცვის დაწყება, აფრიკის გადაქცევა შავკანიანებზე ნადირობის ასპარეზად — ასეთი იყო წარმოების კაპიტალისტური ხანის გარიჟრაჟი". (კ. მარქსი, „კაპიტალი", ტ. I, გვ. 852) ასეთია პროცესი პირვანდელი კაპიტალისტური დაგროვებისა, რომელიც შეღებილია მშრომელთა მილიონების სისხლით.

კაპიტალიზმის დროს, რომელსაც საფუძვლად უდევს საწარმოო საშუალებათა და იარაღთა კერძო საკუთრება და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, საზოგადოებრივ ურთიერთობას და მთელ წყობილებას ძალადობისა და ჩაგვრის ბეჭედი აზის.

კაცობრიობის ათობით მოწინავე, საუკეთესო ადამიანები საუკუნეების განმავლობაში ოცნებობდნენ კერძო საკუთრებისა და მასზე დამყარებული იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის მოსპობაზე, რომელიც თავის საფუძველშივე დანაშაულებრივია. მაგრამ წარმოების საშუალებათა და იარაღთა კერძო საკუთრების ბატონობის მოსპობა შესძლო მხოლოდ ორგანიზებულმა პროლეტარიატმა, რომელმაც მშრომელი გლეხობის მასებთან კავშირში, კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ხელმძღვანელობით განახორციელა ოქტომბრის დიდი რევოლუცია. პროლეტარულმა რევოლუციამ მოსპო წინააღმდეგობა საზოგადოებრივ და პირად ინტერესებს შორის.

დიადი სტალინური კონსტიტუცია კოლექტივის და ინდივიდუალური ინტერესების სრული დამთხვევის მკაფიო დამამტკიცებელ საბუთს იძლევა.

ახალმა კონსტიტუციამ, დაამტკიცა რა საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების, როგორც საბჭოთა წყობილების წმინდათაწმინდა და ურყევი საფუძვლის, ბატონობა, ამასთან ერთად განამტკიცა აგრეთვე ადამიანის უდიდესი უფლებანი — შრომის უფლება, განათლების უფლება, დასვენების უფლება, მოხუცებულობაში და ავადმყოფობის შემთხვევაში უზრუნველყოფის უფლება, პიროვნების, ბინის, მიმოწერის ხელშეუხებლობა, სიტყვის, კრებების, მიტინგების თავისუფლება.

ინგლისელ მწერალთან გ. დ. უელსთან საუბრის დროს ამხანაგმა **სტალინმა** მიუთითა, რომ სოციალიზმის დროს „შეურიგებელი კონტრასტი ინდივიდუმსა და კოლექტივს შორის, ცალკე პიროვნების ინტერესებსა და კოლექტივის ინტერესებს შორის არ არსებობს, არ უნდა არსებობდეს. იგი არ უნდა არსებობდეს, ვინაიდან კოლექტივიზმი, სოციალიზმი, კი არ უარყოფს, არამედ ათავსებს ინდივიდუალურ ინტერესებს კოლექტივის ინტერესებთან. სოციალიზმს არ შეუძლია ანგარიშში არ გაუწიოს ინდივიდუალურ ინტერესებს. ამ პირადი ინტერესების ყველაზე სრული დაკმაყოფილება შეუძლია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებას. უფრო მეტი, — სოციალისტური საზოგადოება წარმოადგენს პიროვნების ინტერესთა დაცვის ერთადერთ მტკიცე გარანტიას". (ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები", გვ. 602).

სსრ კავშირში უზრუნველყოფილია ყველა პირად ინტერესთა ყველაზე სრული დაკმაყოფილება, მიღწეულია პიროვნების სრული განთავისუფლება. ეს განთავისუფლება შესაძლებელი გახდა მხოლოდ იმის წყალობით, რომ ჩვენში, სსრ კავშირში, ურყევად განმტკიცებულია საზოგადოებრივი საკუთრება, რომელიც წარმოადგენს სსრ კავშირის მშრომელთა შეძლებული და ბედნიერი ცხოვრების წყაროს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით.

ამიტომ, იცავს რა საზოგადოებრივ საკუთრებას კლასობრივი მტრის ყოველგვარი ხელყოფისაგან, 7 აგვისტოს კანონი იცავს არა მარტო მთელი საზოგადოებრივი წყობილების საფუძველს, არამედ აგრეთვე პიროვნების ინტერესებს, საბჭოთა მოქალაქის თავისუფლებას.

7 აგვისტოს კანონის მნიშვნელობა მდგომარეობს იმაში, რომ იგი წარმოადგენს კლასობრივი მტრის განადგურების იარაღს, აგრეთვე იმაში, რომ იგი დახმარებას გვიწევს დავსძლიოთ ძველი ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული ჩვევები და ჩვეულებანი — კაპიტალიზმის ნაშთები ადამიანთა შეგნებაში. ხომ სწორედ ამ წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგიის გამძლეობით აიხსნება საზოგადოების ინტერესებისადმი გულგრილი, დანაშაულებრივი დამოკიდებულების ფაქტები იმ ადამიანების მხრით, რომელნიც თავის მუშაობას აშენებენ პრინციპზე: „მერაში მენაღვლება, დეე ყველამ აკეთოს ისე, როგორც მას საჭიროდ მიაჩნია, ხოლო მე ვაკეთებ ისე, როგორც ხელსაყრელად მივიჩნევ" და ა. შ.

ტროცკისტულ-ბუხარინელი გარეწრები, ფაშისტურ დაზვერვათა ეს უსაზიზღრესი აგენტურა, ეს საძაგელი მოღალატეები, ცდილობდნენ ყოველნაირად სახელი გაეტეხათ 7 აგვისტოს კანონისათვის. თავისი დამქაშების მეშვეობით, რომელნიც გაძვრნენ იუსტიციის ორგანოებში, ისინი შეგნებულად ცდილობდნენ 7 აგვისტოს კანონი მასობრივი მასშტაბით გამოეყენებიათ არა კულაკებისა და ხალხის სხვა მტრების წინააღმდეგ, არამედ იმათ წინააღმდეგ, ვინც დაუშვა წვრილმანი დატაცება ცხოვრების შემთხვევითი ან მისთვის მძიმე გარემოებებში.

7 აგვისტოს კანონის ეს დამახინჯებანი მაშინათვე მხილებულ იქნა. კანონის მოქმედება მიმართულ იქნა ნამდვილი მტრების, ნამდვილი დამნაშავეების წინააღმდეგ.

და ამან თავისი დადებითი შედეგები მოგვცა. ჩვენს სასამართლო პრაქტიკაში 7 აგვისტოს კანონის შეფარდების უკვე პირველმა სამმა წელმა უდიდესი წარმატებები გვიჩვენა საზოგადოებრივი სოციალისტური საკუთრების დაცვისათვის ბრძოლაში.

მაგალითად, რუსეთის სფს რესპუბლიკაში 1934 წლის პირველ ნახევარში საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებისათვის მსჯავრდადებული იყო 1923 წლის პირველ ნახევარში მსჯავრდადებულთა რიცხვის 27,8 პროცენტი, ხოლო 1935 წლის პირველ ნახევარში — მხოლოდ 9,6 პროცენტი.

1935 წლის პირველი ნახევრიდან 1936 წლის პირველ ნახევრამდე განვლილი დროის მანძილზე საზოგადოებრივი საკუთრების დატაცებისათვის მსჯავრდადებულთა რიცხვი რუსეთის სფს რესპუბლიკაში შემცირდა ერთი-სამად, უკრაინის სს რესპუბლიკაში — ერთი ოთხად. ასეთივე მდგომარეობაა სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში.

ამასთან დაკავშირებით ინტერესს მოკლებული არ იქნება აქვე მოვიყვანოთ ზოგიერთი მონაცემები დანაშაულებრივობის მოძრაობის შესახებ სსრ კავშირში მთლიანად.

თუ 1934 წლის პირველ ნახევარში რეგისტრირებულ დანაშაულთა რიცხვად დავსახავთ 100-ს (სსრ კავშირში), მაშინ 1936 წლის პირველ ნახევარში ეს რიცხვი შეადგენს მხოლოდ 59,8-ს. დროის იმავე პერიოდში შეუიარაღებელ გაძარცვათა რიცხვი 66,5 პროცენტით შემცირდა, შეიარაღებულ გაძარცვათა რიცხვი — 69,8 პროცენტით, ქურდობის — 35,2 პროცენტით: პირუტყვის ქურდობა თითქმის 5-ჯერ შემცირდა, ცეცხლწაკიდება — თითქმის 4-ჯერ.

ეს ციფრები ცხადჰყოფენ სოციალიზმის ერთერთ უდიდეს გამარჯვებას. ეს არის ახალი სოციალისტური ეკონომიკის, ახალი სოციალისტური კულტურის, ახალი სოციალისტური წყობილების გამარჯვების პირდაპირი შედეგი.

ულმობელმა ლახვარმა, რომელიც საბჭოთა მთავრობამ ჩასცა ხალხის ნამდვილ მტრებს, რომელნიც იტაცებდნენ საბჭოთა ან საკოლმეურნეო დოვლათს, აწყობდნენ თავისი მტაცებლურ გამოსვლებს საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობის წინააღმდეგ, ძალიან ბევრს დაუკარგა ბნელი მტაცებლური საქმეების კეთების ყოველგვარი ხალისი.

ეს უდაოდ მნიშვნელოვანი მიღწევაა. მაგრამ ამაზე ჩვენ ვერ შევჩერდებით. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრების დატაცება ნოლამდე იქნეს დაყვანილი, რომ სსრ კავშირის უკლებლივ ყველა მოქალაქის შეგნებაში საბოლოოდ განმტკიცდეს საზოგადოებრივი საკუთრებისადმი, როგორც სოციალიზმის ურყევი წმინდათაწმინდა საფუძვლისადმი, პატიოსანი დამოკიდებულება.

ამ ამოცანის საჩქაროდ და რაც შეიძლება წარმატებით გადაჭრა უდიდეს პასუხისმგებლობას აკისრებს ჩვენს საბჭოთა საზოგადოებრივობას, ჩვენს კომუნისტურ პარტიას — მშრომელთა ამ მოწინავე და წამყვან რაზმს, რომელიც მასებს ზრდის კომუნიზმის პრინციპებზე, ლენინ-სტალინის დიადი დროშის ქვეშ სოციალიზმისათვის შეურიგებელი და თანმიმდევრობითი ბრძოლის პრინციპებზე.

# სსრ კავშირის მიწსახკომის, საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის და კვების მრეწველობის სახალხო კომისარიატის ნაკრები ცნობა

## 1937 წლის 31 ივლისისათვის თავთავიანი კულტურების აღების შესახებ

| რესპუბლიკები მხარეები და ოლქები | მომკილია: სულ: ათას ჰექტრობით | მომკილია: სულ: %%-ში გეგმის მიმართ | მომკილია: აქედან: კოლმეურნეობებში (%%-ში გეგმის მიმართ) | მომკილია: აქედან: საბჭოთა მეურნეობებში: საბჭ. მეურნ. სახ. კომის. (%%-ში გეგმის მიმართ) | მომკილია: აქედან: საბჭოთა მეურნეობებში: მიწსახკომის (%%-ში გეგმის მიმართ) | მომკილია: აქედან: საბჭოთა მეურნეობებში: კვებ. მრეწვ. სახ. კომის. (%%-ში გეგმის მიმართ) | გალეწილია: სულ: ათას ჰექტრობით | გალეწილია: სულ: %%-ში მომკილის მიმართ | გალეწილია: აქედან: კოლმეურნეობებში (%%-ში მომკილის მიმართ) | გალეწილია: აქედან: საბჭ. მეურნ. სახ. კომ. საბჭ. მეურნეობებში (%%-ში მომკილის მიმართ) | კოლმეურნეობებ.: ძნებად შეკრული და აღებული კომბაინებით (%%-ში მომკილის მიმართ) | კოლმეურნეობებ.: დაზვინულია დაწყობილი და აღებული კომბაინებით (%%-ში მომკილის მიმართ) | აღებულ. კომბაინებით: მათ კოლმეურნეობებში (%%-ში გეგმ. მიმართ) | აღებულ. კომბაინებით: საბჭ. მეურნ. სახ. კომ. საბჭ. მეურნეობებში (%%-ში გეგმ. მიმართ) |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| რსფსრ | 19641 | 30 | 31 | 24 | 24 | 41 | 8390 | 43 | 40 | 94 | 83 | 53 | 28 | 25 |
| უკრაინის სსრ | 13816 | 92 | 93 | 87 | 77 | 84 | 7633 | 55 | 53 | 96 | 89 | 73 | 82 | 86 |
| ბელორუსიის სსრ | 1339 | 66 | 67 | 61 | 42 | 25 | 146 | 11 | 11 | 19 | 94 | 67 | 17 | 23 |
| აზერბეიჯანის სსრ | 506 | 70 | 71 | 83 | 92 | 9 | 194 | 38 | 37 | 100 | 74 | 66 | 73 | 85 |
| საქართველოს სსრ | 239 | 54 | 59 | — | 60 | — | 70 | 29 | 33 | — | 77 | 63 | 93 | — |
| სომხეთის სსრ | 29 | 8 | 8 | — | — | 84 | 5 | 17 | 22 | — | 96 | 78 | 5 | — |
| თურქმენეთის სსრ | 111 | 70 | 70 | 72 | 91 | — | 55 | 50 | 50 | 52 | 13 | 13 | 52 | 60 |
| უზბეკეთის სსრ | 681 | 62 | 61 | 73 | 97 | — | 466 | 68 | 66 | 100 | 35 | 35 | 61 | 87 |
| ტაჯიკეთის სსრ | 183 | 35 | 35 | 78 | 77 | 50 | 81 | 44 | 44 | 86 | 5 | 5 | 62 | 125 |
| ყაზახეთის სსრ | 448 | 11 | 11 | 8 | 23 | 15 | 226 | 50 | 49 | 76 | 50 | 74 | 9 | 7 |
| ყირგიზეთის სსრ | 172 | 23 | 23 | 20 | 6 | 64 | 85 | 49 | 49 | 85 | 54 | 68 | 41 | 26 |
| **რუსეთის სფს რესპუბლიკის მხარეები, ოლქები და ავტ. რესპ.** | | | | | | | | | | | | | | |
| აზოვ-შავი ზღვის მხარე | 4574 | 86 | 90 | 70 | 76 | 92 | 3324 | 73 | 70 | 98 | 76 | 80 | 86 | 72 |
| ორჯონიკიძის მხ. | 1712 | 93 | 95 | 82 | 67 | 71 | 1215 | 71 | 68 | 99 | 78 | 76 | 83 | 84 |
| ვორონეჟის მხარე | 2013 | 55 | 57 | 23 | 23 | 35 | 378 | 19 | 17 | 78 | 95 | 33 | 22 | 19 |
| გორკის ოლქი | 488 | 35 | 36 | 13 | 4 | 13 | 13 | 3 | 3 | 19 | 98 | 8 | 2 | 4 |
| დასავლეთის ოლქი | 1080 | 53 | 54 | 24 | 21 | 39 | 102 | 9 | 9 | 31 | 81 | 42 | — | 9 |
| ივანოვოს ოლქი | 204 | 28 | 29 | 5 | 12 | 1 | 8 | 4 | 4 | 30 | 99 | 15 | 9 | 2 |
| კალინინის ოლქი | 367 | 30 | 30 | 32 | 4 | 29 | 25 | 7 | 5 | 9 | 98 | 26 | 4 | 1 |
| კიროვის ოლქი | 157 | 8 | 8 | 4 | — | 2 | 3 | 2 | 2 | — | 88 | 3 | — | — |
| კუიბიშევის ოლქი | 851 | 23 | 24 | 9 | 9 | 8 | 213 | 25 | 23 | 86 | 87 | 30 | 11 | 9 |
| კურსკის ოლქი | 1666 | 62 | 63 | 32 | 28 | 65 | 337 | 20 | 20 | 62 | 91 | 40 | 22 | 20 |
| ლენინგრადის ოლქი | 251 | 22 | 23 | 6 | 11 | 14 | 18 | 7 | 7 | 33 | 99 | 17 | 7 | 4 |
| მოსკოვის ოლქი | 1050 | 39 | 41 | 19 | 16 | 27 | 79 | 8 | 7 | 73 | 88 | 23 | 9 | 15 |
| ორენბურგის ოლქი | 327 | 11 | 12 | 6 | 2 | 15 | 203 | 62 | 59 | 98 | 81 | 67 | 10 | 7 |
| სარატოვის ოლქი | 607 | 21 | 23 | 10 | 9 | 26 | 273 | 45 | 43 | 85 | 73 | 52 | 12 | 9 |
| ჩრდილოეთის ოლქი | 17 | 2 | 2 | 0.4 | — | — | — | — | — | — | 41 | — | — | — |
| სტალინგრადის ოლქი | 1501 | 50 | 51 | 43 | 40 | 73 | 1025 | 68 | 67 | 92 | 69 | 85 | 43 | 44 |
| ჩელიაბინსკის ოლქი | 03 | -- | — | — | 1 | 1 | — | — | — | — | — | — | — | — |
| იაროსლავლის ოლქი | 83 | 11 | 11 | 9 | 6 | 7 | 2 | 2 | 2 | 35 | 98 | 4 | 2 | 5 |
| თათართა ასსრ | 434 | 19 | 20 | 5 | 2 | 9 | 20 | 5 | 5 | 16 | 89 | 7 | 2 | 1 |
| ბაშკირეთის ასსრ | 88 | 3 | 4 | 0.2 | — | 0.2 | 3 | 3 | 3 | 67 | 92 | 3 | — | 0.2 |
| დაღისტანის ასსრ | 180 | 57 | 82 | 90 | 78 | 100 | 54 | 30 | 27 | 93 | 70 | 54 | 89 | 102 |
| ყაბარდო-ბალკარეთის ასსრ | 67 | 64 | 68 | 55 | 25 | 100 | 37 | 55 | 50 | 96 | 76 | 64 | 67 | 54 |
| ყალმუხეთის ასსრ | 119 | 93 | 93 | 85 | 78 | 68 | 54 | 45 | 39 | 77 | 38 | 72 | 81 | 78 |
| კარელიის ასსრ | 2 | 5 | 5 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| ყირიმის ასსრ | 742 | 100 | 100 | 99 | 95 | 99 | 674 | 91 | 91 | 99 | 85 | 96 | 97 | 104 |
| მარის ასსრ | 41 | 11 | 12 | — | — | — | 2 | 5 | 5 | — | 100 | 18 | — | — |
| მორდვის ასსრ | 298 | 45 | 45 | 15 | 3 | 26 | 16 | 5 | 5 | 34 | 94 | 14 | 4 | 6 |
| ვოლგის გერმანელთა ასსრ | 418 | 40 | 39 | 25 | 17 | 75 | 254 | 61 | 57 | 92 | 74 | 70 | 33 | 24 |
| ჩრდილო-ოსეთის ასსრ | 23 | 82 | 85 | — | — | 56 | 7 | 30 | 30 | — | 96 | 52 | 60 | — |
| უდმურტთა ასსრ | 65 | 9 | 10 | 2 | — | — | 1 | 2 | 2 | — | 95 | 3 | — | — |
| ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ | 84 | 65 | 73 | 88 | 67 | 100 | 52 | 62 | 59 | 100 | 92 | 72 | 95 | 89 |
| ჩუვაშეთის ასსრ | 132 | 28 | 29 | — | — | 3 | 8 | 2 | 3 | — | 98 | 7 | 5 | — |
| **უკრაინის სსრ ოლქები და ავტ. რესპუბლიკები** | | | | | | | | | | | | | | |
| ვინიცის ოლქი | 1421 | 89 | 89 | 68 | 100 | 80 | 435 | 31 | 30 | 65 | 93 | 65 | 65 | 45 |
| დნეპროპეტროვსკის ოლქ. | 2890 | 97 | 97 | 96 | 89 | 88 | 2341 | 81 | 80 | 99 | 85 | 88 | 92 | 96 |
| დონეცის ოლქი | 1471 | 84 | 87 | 75 | 100 | 100 | 963 | 65 | 64 | 96 | 74 | 72 | 82 | 73 |
| კიევის ოლქი | 1792 | 91 | 92 | 87 | 72 | 84 | 593 | 33 | 33 | 62 | 95 | 66 | 74 | 61 |
| ოდესის ოლქი | 2657 | 97 | 98 | 94 | 93 | 94 | 2031 | 76 | 74 | 99 | 89 | 86 | 90 | 96 |
| ხარკოვის ოლქი | 2313 | 90 | 91 | 74 | 67 | 82 | 939 | 41 | 39 | 79 | 95 | 63 | 57 | 58 |
| ჩერნიგოვის ოლქი | 981 | 88 | 89 | 77 | 78 | 69 | 167 | 17 | 17 | 53 | 92 | 44 | 48 | 61 |
| მოლდავეთის ასსრ | 291 | 98 | 98 | — | — | 86 | 164 | 56 | 57 | — | 99 | 83 | 90 | — |
| **ყაზახეთის სსრ ოლქები** | | | | | | | | | | | | | | |
| აქტიუბინსკის ოლქი | 28 | 11 | 12 | 4 | — | — | 14 | 50 | 48 | 78 | 48 | 59 | — | 3 |
| ალმა-ატის ოლქი | 20 | 4 | 4 | 4 | — | — | 9 | 45 | 8 | 100 | 59 | 59 | — | 4 |
| დასავლ.-ყაზახ. ოლქ. | 63 | 22 | 23 | 21 | — | — | 24 | 38 | 36 | 49 | 36 | 74 | — | 13 |
| კუსტანაისკის ოლქი | 04 | 01 | — | 03 | — | — | 04 | 100 | — | 100 | — | — | — | 02 |
| სამხრეთ-ყაზახეთის ოლქი | 241 | 50 | 50 | 63 | 100 | — | 134 | 56 | 54 | 86 | 56 | 77 | — | 58 |
| **უზბეკეთის სსრ ავტ. რესპუბლიკა** | | | | | | | | | | | | | | |
| კარა-კალფაკთა ასსრ | 5 | 34 | 36 | — | — | — | — | — | — | — | — | — | — | — |
| **აზერბეიჯანის სსრ ავტ. რესპუბლიკა** | | | | | | | | | | | | | | |
| ნახიჩევანის ასსრ | 19 | — | — | — | — | — | 5 | 26 | 28 | — | 94 | — | — | — |
| სულ სსრ კავშირში | 37.165 | 41 | 42 | 32 | 34 | 52 | 17351 | 47 | 44 | 94 | 84 | 61 | 38 | 34 |
| იყო 37 წ. 25 ივლისისათვის | 27954 | 31 | 32 | 24 | 24 | 38 | 12566 | 45 | 43 | 94 | 81 | 55 | 30 | 25 |
| იყო 36 წ. 31 ივლისისათვის | 43414 | 49 | 51 | 37 | 47 | 64 | 18349 | 42 | 40 | 83 | 81 | 67 | 53 | 37 |

**შენიშვნა:** სომხეთის სსრ-ზე, აქტიუბინსკის, ალმა-ატის და დასავლეთ ყირგიზეთის ოლქებზე ცნობები არის 25 ივლისისათვის.

# შევასრულოთ სახელმწიფო ვალდებულება

მახარაძის რაიონმა წელს სახელმწიფოს უნდა ჩააბაროს 6.207.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, აბრეშუმის პარკი 200 ტონა, ხორცი —242, ყველი—15, სოია—180, თხილი—180, ყურძენი, მანდარინი და სხვა—150 ტონა. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ დამზადებათა გეგმის შესრულების საქმე ყველა დარგში საგანგაშო მდგომარეობაშია. იმ დროს, როცა ჩაის კრეფის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 41,8 პროცენტით, აბრეშუმის პარკისა არ აღემატება 81 პროცენტს, ხორცისა 66,2-ს, ხოლო ყველისა—35,7 პროცენტს.

რაიონში არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომლებმაც ჩაის კრეფის გეგმა თითქმის სულ ჩაშალეს. მაგალითად, შემოქმედის კოლმეურნეობას ივლისის გეგმა შესრულებული აქვს მხოლოდ 18 პროცენტით, ბაღდათს — 16,5-ით, ვაკიჯვარს—19,5, მაკვანეთს—21,1-ით, წითელ-მთას — 21,2 პროცენტით. ხორცის დამზადების გეგმის შესრულება ძალზე ჩამორჩენილია კოლმეურნეობათა ფერმებში. მაგალითად, მაკვანეთის, მთის პირის, ძიმითის, მზიანის და ლაშე-გაკიროულის კოლმეურნეობის ფერმებს დღემდე არ ჩაუბარებიათ თითქმის არცერთი კილოგრამი ხორცი. ასეთივე მდგომარეობაა მთელ რიგ სხვა კოლმეურნეობებში, — დამზადების გეგმა ჩაშალეს, თავს არ იწუხებენ სახელმწიფო ვალდებულებათა ვადაზე შესრულებისათვის (ლიხაურის ლენინის სახ. კოლმეურნეობა. ცხემლის ხიდის, გალმა დვაბზუსი და სხვ.).

თხილის მოსავალი წელს მახარაძის რაიონში მეტად დიდია. მიუხედავად ამისა, „საქკონსერვტრესტის" ქარხანამ იმ მავნებლური მუშაობის შედეგად, რომელსაც იქ ეწეოდნენ კონტრრევოლუციონერი ტროცკისტები თავბერიძე და ღლონტი, თხილის კონტრაქტაცია ჩაშალა. „ბაქტორგის", „მოსპლოდოვოშჩტორგის" და „დონპლოდოვოშჩტორგის" ორგანიზაციები, რომლებიც ხილის დამზადებაზე მუშაობენ, დანაგვიანებულია საეჭვო პირებით და მათ დაჩქარებით გაწმენდა ესაჭიროებათ.

ამ მდგომარეობას აქ ყურადღებას არავინ აქცევს. საერთოდ, აქ დავიწყებულია, რომ დამზადებათა გეგმების შესრულება გადაუდებელი ამოცანაა და მის შესრულებაში, ცხადია, მაგალითის მიმცემი კომუნისტები და კ. კ. წევრები უნდა იყვნენ. საჭიროა პასუხისმგებლობის გაასკეცება, გაძლიერება იმისათვის, რომ ყველა სახის გეგმები გადაჭარბებით შესრულდეს.

ახლა საქმე მხოლოდ მონდომებაზეა დამოკიდებული და გეგმაც შესრულდება.

ე. წიქარიძე

# სასწავლო წლისათვის მზადება

წელს საქართველოს განსახკომმა დროულად მოჰკიდა ხელი სასწავლო წლისათვის მზადებას.

მიუხედავად ამისა, როგორც გამოკვლევამ ნათელჰყო, მთელი რიგი რაიონები და სკოლები კარგად ვერ ემზადებიან მომავალი სასწავლო წლისათვის. განათლების განყოფილებათა ბევრი ხელმძღვანელი ვერ აღმოჩნდა სათანადო სიმაღლეზე. მათ ვერ უზრუნველჰყვეს სასწავლო წლისათვის მზადების კონკრეტული და ოპერატიული ხელმძღვანელობა.

ყველაზე მეტად ჩამორჩა ცხაკაიას რაიონი, რომლის განათლების განყოფილებამ ვერ შესძლო რაიონის პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებისა და ხელმძღვანელობის ნაყოფიერად გამოყენება, პარტიული და საბჭოთა აქტივის, სკოლის დირექტორების, მასწავლებლებისა და მშრომელთა დარაზმვა. ამ რაიონში სხვებთან შედარებით ცუდად ემზადებიან ქვედა-თეკლათის, ახალსოფლის, გოლასკურისა და საარჩაიოს სკოლები. თუ განსახკომთან ერთად ცხაკაიას რაიონის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა აქედანვე არ მიიღეს გადამწყვეტი ზომები, მომავალ სასწავლო წელს ცხაკაიას რაიონის სკოლები მოუმზადებლად შეხვდებიან.

წინა წლებში ლუქსემბურგის რაიონს სასწავლო წლისათვის მზადებაში ყოველთვის მოწინავე ადგილი ეჭირა, მაგრამ წელს დიდად ჩამორჩა. ივნისში აქ მზადება არც კი ჰქონდათ დაწყებული, მაშინ როდესაც განსახკომის დირექტივით, სასწავლო წლის დამთავრება მჭიდროდ უნდა დაჰკავშირებოდა მომავალი წლისათვის მზადებას. გეგმა განსახკომის წარმომადგენლის ჩასვლამდე არ ჰქონდათ შედგენილი, პედაგოგიური კადრების წინასწარი გადასინჯვა არ იყო მოგვარებული, სასკოლო ინვენტარი არ შეუკვეთიათ, სკოლების მშენებლობა და შეკეთება გვიან დაიწყეს, მასწავლებელთა გადასამზადებელი კურსები ივნისში არ იყო ორგანიზებული.

არადამაკმაყოფილებლად ემზადებიან ჯულელისა და ჩხარის რაიონებიც. ზედა-სიმონეთის საშუალო სკოლა ყოვლად უვარგის შენობაშია მოთავსებული. ამ სკოლის ახალ შენობას საძირკველი ორი წლის წინათ ჩაუყარეს, მაგრამ საძირკველი საძირკვლად დარჩა, დამთავრებაზე არავინ ფიქრობს. ძალიან ნელი ტემპებით შენდება ზედა-საზანოს და კვალითის სასკოლო შენობები. ქვედა-საზანოსა და ზედა-სიმონეთში სკოლების დირექტორები ფორმალურად და ზერელედ მოეკიდნენ სასკოლო შენობების, სასწავლო ნივთებისა და ავეჯის შემოწმებას. მათ განსახკომის მითითება არ შეასრულეს, შემოწმების აქტები არ შეადგინეს, მდგომარეობის გამოსასწორებლად დროზე ზომები არ მიიღეს. მეტიც. ქვედა-საზანოს არასრულ საშუალო სკოლაში არათუ ახალს არ იძენენ, არამედ რაც აქვთ, იმასაც წესიერად არ უვლიან.

წალკის რაიონში სასკოლო ავეჯის დამზადება სკოლის დირექტორებს მიანდეს. ამის გამო შეუძლებელია ერთიანი ფორმისა და სტანდარტის ავეჯის დამზადება, რაც ყოვლად დაუშვებელია. უკვე დრო არის ჩვენს სკოლებს მოვთხოვოთ მეტი კულტურულობა, შნო და სილამაზე. ეს აუცილებელია და უნდა გაითვალისწინონ ჩვენმა განათლების ორგანოებმა. ხელისუფლება სახალხო განათლებაზე აუარებელ თანხებს ითვალისწინებს და ამ თანხების უყაირათოდ დახარჯვის უფლებას არავინ მოგვცემს.

ცუდად ემზადება გეგეჭკორის რაიონიც. განათლების განყოფილებამ მზადების კონკრეტული და ოპერატიული გეგმის ნაცვლად ზერელე, ზოგადი და არაფრისმთქმელი გეგმა შეადგინა, ისიც ძალიან დაგვიანებით. განათლების განყოფილებაზე არ გასჭრა რაიკომის ბიუროს დადგენილებამ, რომ მას 15 მაისამდე შეედგინა სასწავლო წლის მზადების გეგმა.

ჯერ-ჯერობით მზადების კარგ მაგალითებს იძლევიან აგრეთვე ყვარლის, წალენჯიხის, დუშეთისა და სამტრედიის რაიონები.

მეტად მნიშვნელოვანი საკითხია საყოველთაო სავალდებულო სწავლების ზუსტად და უნაკლოდ გატარება. საქართველოს ბევრი რაიონის განათლების განყოფილებები და სკოლები ამ საკითხს ზერელედ უყურებენ. სკოლის ასაკის ბავშვები მთლიანად არ არიან სკოლებში ჩაბმული. მაგალითად, ბაშკიჩეთის რაიონში შარშან ბევრი ბავშვი დარჩა სკოლის გარეთ. ასეთივე მდგომარეობა ბევრ სხვა რაიონშიაც არის. თუ განათლების განყოფილებათა გამგეებმა ამთავითვე არ მოჰკიდეს ხელი სკოლის ასაკის ბავშვთა ზუსტ აღრიცხვას და სკოლებში ჩაბმას, ბაშკიჩეთის მაგალითი სხვაგანაც იჩენს თავს.

თუ შარშან მასწავლებელთა დანიშვნა-გადაჯგუფება სექტემბერშიაც არ იყო დამთავრებული და მუშაობის პროცესში, აჩქარების გამო, განსახკომმა მრავალი შეცდომა დაუშვა, წელს ეს საქმე უკეთ არის მოწყობილი. არის ნაკლიც. განსახკომის მუშაკები პირადად ვერ იცნობენ ახლად დანიშნულ ყველა მასწავლებელს.

ცუდად მიმდინარეობს სასკოლო მშენებლობა. განსაკუთრებით ჩამორჩენილია სოხუმი, სადაც 30 ივლისისათვის გეგმა შესრულებული იყო მხოლოდ 31,6 პროცენტით. ცუდად მუშაობს ქუთაისიც. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქის საბჭო ენერგიულად ეხმარება ამ სკოლის მშენებლებს, საქმშენმა უხეირო მუშაობის შედეგად ჩაშლის კარამდე მიიყვანა მშენებლობა.

სასწავლო წლის მზადების ვადა გადის. განსახკომმა, რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა გადაჭრით უნდა გააძლიერონ მზადების ტემპები და უზრუნველჰყონ სკოლების ყოველმხრივ მომზადება მომავალი სასწავლო წლისათვის.

შ. ჯიქია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიულ თემაზე

# პარტისტორიის სწავლებას მკაცრი პარტიული ხელმძღვანელობა

[illegible]

ალ. ბჟინჩიძე

# არ კმარა მარტო გეგმის შესრულება

(ფოთი, ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

„საქთევზის" ფოთის განყოფილებამ (დირექტორი ამხ. კ. იოსავა) წელს თევზის ჭერის 6 თვის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. გეგმის მიხედვით უნდა დაეჭირა 1400 ცენტნერი თევზი, ფაქტიურად დაჭერილია 1900 ცენტნერი—გეგმის 135,7 პროც.

ამჟამად ფოთის განყოფილებამ სათანადო მუშაობა უნდა ჩაატაროს იმისათვის, რომ მომზადებულად შეხვდეს საშემოდგომო თევზჭერას. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით მუშაობა სუსტად მიმდინარეობს.

თევზისმჭერ სარეწაოს საკმაო რაოდენობით არ გააჩნია ხელსაწყოები, როგორიცაა: ხამსის საჭერი ბადე (გირინგი), კამბალის ბადეები, ზუთხის საჭერი ანკესები და სხვ.

აქ თითქმის არ ზრუნავენ ადამიანებზე. გრიგოლეთში მუშებისათვის არა აქვთ ბინა, მალთაყვაში ალაფხანის (ლაბაზის) მუშებისათვის მომარაგებული არა აქვთ საწვიმრები, რეზინის ჩექმები.

სუსტად იბრძვიან სტახანოვური მოძრაობის გაშლისათვის, არ ხდება სტახანოველების აღრიცხვა, მათი წახალისება, ყურადღება არ ექცევა მუშებს შორის სოცშეჯიბრების გაშლას, სუსტია მასობრივი მუშაობა სათევზაოდ გასულ მუშებთან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოთში საქთევზის განყოფილებასთან არსებობს მეთევზეთა „არტელი", რომელიც საარტელო წესდების არც ერთ მუხლს არ ანხორციელებს.

აღნიშნულ „არტელში" წევრების მიღება ხდება საერთო კრების დაუდგენლად. მიმდინარე წლის 6 თვის გეგმა არტელმა მხოლოდ 76 პროცენტით შეასრულა, მაშინ როდესაც გეგმის შესრულება გადაჭარბებით შეიძლებოდა.

გრ. ბოლქვაძე.



ზემოსვანეთში დაიწყო მშენებლობა ახალი გზატკეცილისა 42 კილომეტრის მანძილზე, რომელიც შორეულ სოფელ უშგულს დააკავშირებს მესტიასთან. სურათზე: ახალი ხიდის მშენებლობა ახალი გზის ტრასაზე.
ფოტო კადეტოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## მზადება საკ. სას.-სამ. გამოფენისათვის

# კოლმეურნეობანი ემზადებიან გამოფენისათვის

**სტალინირი**, 1 აგვისტო (საქდესი). სამხრეთ-ოსეთის ყველაზე დაშორებულ მთიან კოლმეურნეობებში მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა პარტიისა და მთავრობის დადგენილებამ 1938 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის შესახებ. საკოლმეურნეო კრებებზე, ფერმებში და საზაფხულო საძოვრებზე ფართოდ გაჩაღდა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დებულების განხილვა. სდებენ სოცშეჯიბრების ხელშეკრულებებს როგორც კოლმეურნეობებს შორის, ისე ფერმების ცალკეულ მუშაკთა შორის.

13 კომუნარის სახელობის კოლმეურნეობამ (ჯავის რაიონი) სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობა (სოფელ წონი, იმავე რაიონისა) და იკისრა ვალდებულება მიმდინარე წელს მიიღოს არანაკლებ 1.800 ლიტრი რძისა თითო ძროხისგან. კოლმეურნეობა უკვე შეუდგა დადებული ხელშეკრულების განხორციელებას: აშენებენ სახბორეს 50 სულისათვის ცალკე გალიებით სხვადასხვა ასაკის ხბოებისათვის; ზოოჰიგიენის ყველა წესის შესაბამისად, ხელახლა აწყობენ ბაკებს და სხვ. კოლმეურნეობამ პირველად შემოიტანა 16 ტონა კოპტონი ძროხების საკვებად. კოლმეურნეობაში გეგმის გადამეტებით ამზადებენ 20 ტონა სილოსს. ეწყობა ქოხ-ლაბორატორია. გადაწყდა შეისყიდონ ჯიშიანი პირუტყვი ჯიშის გასაუმჯობესებლად.

ამ კოლმეურნეობის ორდენოსანმა მწველავმა-ქალმა ამხ. ნ. კოჩიევამ იკისრა ვალდებულება მოამზადოს კოლმეურნე მწველავ-ქალთა ახალი კადრები, მათთვის თავისი გამოცდილების გადაცემის გზით.

ერწოს კოლმეურნეობის წევრებმა, განიხილეს რა სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დებულება და ხამპალგომის კოლმეურნეობის გამოწვევა, თავის მხრივ სოცშეჯიბრებაში გამოიწვიეს სარიტატის კოლმეურნეობა. ერწოს კოლმეურნეობა უკვე შეუდგა ახალი ბაკისა და სასილოსე კოშკის მშენებლობას.

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადებაში მეცხოველეობის კოლმეურნეობებს დიდ დახმარებას უწევენ სპეციალური ბრიგადები ზოოტექნიკოსთა და ვეტექიმთა შემადგენლობით, რომლებიც მიმაგრებული არიან ცალკეულ კოლმეურნეობებზე.

O

**ახალციხე**, 1 აგვისტო (საქდესი). დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობამ (წყალთბილის სასოფლო საბჭოს სოფელი ჩულგა) სოცშეჯიბრებაში გამოიწვია ახალციხის რაიონის ყველა კოლმეურნეობა 1938 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენაში თავისი ექსპონატებით მონაწილეობის უფლებისათვის.

ამჟამად დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის მიერ წამოყენებულ სოცშეჯიბრების ხელშეკრულებას დაწვრილებით იხილავენ რაიონის ყველა კოლმეურნეობაში. კოლმეურნეებს ხელშეკრულების მუხლებში შეაქვთ თავისი შესწორებანი და დამატებანი.

სოცშეჯიბრებაში გამოწვევამ და სოცხელშეკრულების განხილვამ ხელი შეუწყო მინდვრის ყველა სამუშაოს გაუმჯობესების დაჩქარებას რაიონის კოლმეურნეობებში.

ახალციხის მესაზღვრეთა რაზმის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ამხ. სარქის აკოფოვმა განაცხადა:

— ჩვენ მივაღწევთ მარცვლეულ კულტურათა ყველაზე მაღალ მოსავლიანობას, შევეცდებით ერთ ჰექტარზე მივიღოთ 20 ცენტნერი მარცვალი და ამით მოვიპოვებთ გამოფენაში მონაწილეობის მიღების უფლებას. ჩვენი კოლმეურნეობის წევრებმა მტკიცედ გადასწყვიტეს მოიპოვონ ეს საპატიო უფლება.

რაიონის კოლმეურნეობებში, მოსავლის აღებისა და გალეწვის შემდეგ, გაჩაღებულია ნაწვერალის მოხვნა. ამ მუშაობაში ახალციხის რაიონი ეჯიბრება ადიგენის რაიონს.

# გამოფენის სამზადისს ცუდად ხელმძღვანელობენ

**ხაშური**, (ჩვენი საკ. კორ.). 21 ივლისს საკ. კ. პ. (ბ) ხაშურის რაიკომის ბიურომ განიხილა სრულიად საკავშირო სასოფლო - სამეურნეო გამოფენის კომიტეტის დადგენილება და ადგილებზე მიამაგრა რაიონული პასუხისმგებელი მუშაკები. მაგრამ ზოგიერთ კოლმეურნეობაში (ბებნისი და სხვ.) ეს საკითხი ჯერ კიდევ არ დამუშავებულა.

სოფ. ზემო-ხვედურეთში ტრაფარეტულად დაამუშავეს საკავშირო სას.-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების საკითხი — ზემოხვედურეთის კოლმეურნეობებში სუსტად იცნობენ გამოფენის კომიტეტის დადგენილებას.

ზემოხსენებული კოლმეურნეობები შედიან აგარის მტს-ს მომსახურებაში. მტს-ი ამ საქმეში უილაჯობას იჩენს.

გრ. ცუცქირიძე

# მავნებლობის შედეგად

ზაჰესის მთავარმა ინჟინერმა ნ. ი. ალნიაშვილმა მჭიდრო კავშირი დაიჭირა ტროცკისტ-მავნებლებთან გ. კუხალეიშვილთან, გ. კლარჯეიშვილთან, თ. პეტრიაშვილთან, რომლებიც შეგნებულად აწყობდნენ ელსადგურის ავარიებს.

მავნებელმა ნ. ი. ალნიაშვილმა თავისი საქმიანობა სტახანოვური მოძრაობის ჩაშლისაკენ წარმართა. ის სისტემატურად ავიწროვებდა და სდევნიდა სტახანოველებს: ამხ. მ. ჩიხლაძეს, ლ. ჩხეიძეს, ზ. ოქროაშვილს, ი. ჭოხონელიძეს, ზ. ქოვერელს, გაურბოდა კრიტიკას. ამ მავნებლისა და მისი თანამოაზრეების „მუშაობის" შედეგად მწყობრიდან იქნა გამოყვანილი მეხუთე მანქანის გრაგნილი, რითაც სახელმწიფოს რამდენიმე ათასი მანეთის ზარალი მოუვიდა.

ეს მავნებლები დღემდე აქტიურად მოქმედებდნენ. საჭიროა ზაჰესის პარტიულმა ორგანიზაციამ მაგრად მოჰკიდოს ხელი მავნებელ ნაძირალების გამომჟღავნებას და მიაღწიოს მავნებლობის შედეგების დაჩქარებით ლიკვიდაციას.

პ. ბუტიკაშვილი

# განა ეს მზადება?

(ბორჯომი, „კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტისაგან).

რაიონის სკოლებმა სასწავლო წელი არადამაკმაყოფილებლად დაამთავრეს. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ განათლების განყ. ყოფ. გამგე ამხ. პ. კობახიძე (ამჟამად იგი განსახკომში მუშაობს) ფორმალურად უდგებოდა მასწავლებელთა კადრების შერჩევას, რამაც გამოიწვია მთელი რიგი სკოლების დანაგვიანება უუნარო, უქნარა, შემთხვევითი ადამიანებითა და ტროცკისტი თვალთმაქცებით.

ბორჯომის რუსულ სკოლას დირექტორობდა ხალხის მტერი გაბილაია, აქვე მასწავლებლობდა ტროცკისტი რევიშვილი. ქართულ საშუალო სკოლაში უცხო ენასა და ისტორიას ასწავლიდნენ ხალხის მტრები რობაქიძე და ქიტია. ჭობისხევის დაწყებითი სკოლის დირექტორად „მუშაობდა" ტროცკისტი ჩიტაძე, ციხისჯვრის არასრული საშუალო სკოლის დირექტორად ითვლებოდა გადაგვარებული ადამიანი სევასტოვი.

გარდა ამისა, სკოლებში მოიკალათეს საქმით დაუინტერესებელმა და უუნარო ადამიანებმა. ახალდაბის სკოლის დირექტორი იაშვილი, ტაძრისის სკოლის დირექტორი კუჭუხიძე, გუჯარეთის სკოლის დირექტორი კოჩიევი მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ინტრიგას ეწეოდნენ.

ტაძრისის არასრული საშუალო სკოლის დირექტორმა კუჭუხიძემ, რომელიც ამავე დროს მოზრდილთა არასრული საშუალო სკოლის დირექტორიც იყო, სრულიად ჩაშალა მოზრდილთა სკოლის მუშაობა, დირექტორობის ხელფასს კი არხეინად ღებულობდა.

ბორჯომის მოზრდილთა საშუალო სკოლას განათლების განყოფილების გამგე ამხ. პ. კობახიძე დირექტორობდა, მაგრამ ამ სკოლის მუშაობა არადამაკმაყოფილებელი იყო, რადგან „დირექტორი" იშვიათად შეივლიდა ხოლმე სკოლაში. სკოლას არ გააჩნდა ნორმალური მუშაობის პირობები, თვით განათლების განყოფილებაში ინსტრუქტორად მუშაობდა ხალხის მტერი გ. კიკნაძე, რომელიც აჭყუებდა განათლების განყოფილებას და მის უდარდელ გამგეს პ. კობახიძეს, გ. კიკნაძემ ჩაშალა სადგერის დაწყებითი სკოლის მუშაობა.

ცხადია, თუ როგორ იქნებოდა დაყენებული მოსწავლეთა აღზრდა ბორჯომის იმ სკოლებში, სადაც ხალხის მტრები მოქმედებდნენ. ზემოხსენებული ტროცკისტი თვალთმაქცები ამჟამად მხილებული და პასუხისგებაში მიცემული არიან.

მიუხედავად ასეთი გაკვეთილისა, ბორჯომის რაიონში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება.

გუჯარეთისა და ტაბიწყურის სასოფლო საბჭოებში შემავალ სკოლებს ახალი სასწავლო წლის მომზადებისათვის დღემდე არაფერი გაუკეთებიათ. შეკეთდა დაბის, წაღვერის, ბაკურიანის და ახალდაბის სკოლები, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს სკოლები საავარაკოდ გააქირავეს, რაც საჭიროს გახდის სკოლების ხელახალ შეკეთებას.

სკოლებისათვის უნდა გაკეთდეს 25 ცალი ახალი მაგიდა, 20 ცალი ახალი შკაფი და პარტები, მაგრამ ჯერ არაფერია გაკეთებული.

ახალი სასწავლო წლისათვის რაიონში უნდა გაიხსნას ერთი არასრული საშუალო, ერთი საშუალო და სამი დაწყებითი სკოლა, სამწუხაროდ დაწყებით სკოლებს არა აქვთ საკუთარი ბინები და არც სხვა ბინებია გამონახული.

რაიონის საფინანსო განყოფილება დროულად არ ურიცხავს განათლების განყოფილებას სასკოლო მშენებლობისა და შეკეთებისათვის გათვალისწინებულ თანხებს.

ზოგიერთი სკოლის დირექტორი მოვალედ არ სთვლის თავს, რომ ზაფხულის განმავლობაში სკოლაში იყოს და მოამზადოს სკოლა ახალი სასწავლო წლისათვის. დვირის არასრული საშუალო სკოლის დირექტორს ამხ. ვ. არევაძეს იშვიათად ნახავთ სკოლაში. იგი თავისი კერძო საქმეებით არის გართული.

ტაბიწყურის არასრული საშუალო სკოლის დირექტორმა თათეოსიანმა, თვითნებურად მიატოვა სკოლა და „სოიუზმიასოს" ბორჯომის განყოფილებაში ბუხჰალტრად დაიწყო მუშაობა.

საქ. განათლების სახალხო კომისარიატს ალბათ ჰგონია, რომ ბორჯომში ყველაფერი რიგზეა. ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე ცოტა დრო დარჩა. ვფიქრობთ, განსახკომის მუშაკები ბოლოსდაბოლოს ბორჯომის რაიონსაც მოხედავენ.

გრ. ლომიძე.



**თბილისი.** ფაბრიკა „კომსომოლკაში" მოგვარებულია აბრეშუმის და კრეპ-დე-შინის აბაჟურების გამოშვება. **სურათზე:** გამომშვები საამქროს მუშა-ქალი ნინა ნანეიშვილი აბაჟურის შემკობაზე.
ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

## ნ. რუბინი და ი. სერებროვი

# სსრ კავშირში ფაშისტურ დაზვერვათა ძირგამომთხრელი საქმიანობისა და მასთან ბრძოლის ამოცანების შესახებ*

V.

ჩვენ მოვიყვანეთ ფაშისტურ დაზვერვათა საზიზღარი საქმიანობის ვერაგული მეთოდების რამდენიმე მაგალითი. საჭიროა ყოველმა საბჭოთა მოქალაქემ იცოდეს ეს მეთოდები, რათა ებრძოლოს ხალხის საზიზღარ მტრებს—ფაშისტურ დაზვერვათა აგენტებს—ტროცკისტ-ბუხარინელ და სხვა ჯაშუშებს, დივერსანტებს, მავნებლებს.

საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში ამხანაგმა სტალინმა ამხილა დამპალი თეორია, „რომელიც ამბობს იმას, რომ ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკები, ბევრნი ვართ, ხოლო მავნებლები ცოტანი არიან, ვინაიდან ჩვენ, ბოლშევიკებს, მხარს გვიჭერენ ათეული მილიონობით ადამიანები, ტროცკისტ მავნებლებს კი მხოლოდ ერთეულები და ათეულები, ჩვენ, ბოლშევიკებს, შეგვეძლო არც კი მიგვექცია ყურადღება რაღაც ერთი მუჭა მავნებლებისათვის".

„ტროცკისტ მავნებლებს რომ მხარს უჭერენ ერთეულები, ხოლო ბოლშევიკებს ათეული მილიონობით ადამიანები—ეს, რა თქმა უნდა, სწორია. მაგრამ აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ მავნებლებს არ შეუძლიანთ უაღრესად სერიოზული ზიანი მიაყენონ ჩვენს საქმეს. საქმე რომ გაგვიფუჭონ და ზიანი მოგვაყენონ, ამისათვის სრულიადაც არ არის საჭირო ადამიანთა დიდი რაოდენობა. დნეპრომშენის ასაშენებლად საჭიროა ათეული ათასობით მუშების გამოყენება, ხოლო იგი რომ ააფეთქო, ამისათვის შეიძლება საჭირო იყოს რამდენიმე ათეული კაცი, მეტი არა. ომის დროს რომ ბრძოლა მოიგო, ამისათვის შეიძლება საჭირო იყოს წითელარმიელთა რამდენიმე კორპუსი. ხოლო ეს მოგება რომ ჩაშალო ფრონტზე, ამისათვის საკმარისია რამდენიმე ჯაშუში სადმე არმიის შტაბში ან თუნდაც დივიზიის შტაბში, რომელთაც შეუძლიანთ მოიპარონ ოპერატიული გეგმა და გადასცენ იგი მოწინააღმდეგეს. რკინიგზის დიდი ხიდი რომ ააგო, ამისათვის საჭიროა ათასობით ადამიანები, მაგრამ იგი რომ ააფეთქო, ამისათვის საკმარისია სულ რამდენიმე კაცი. ასეთი მაგალითები შეიძლებოდა მოგვეყვანა ათობით და ასობით.

მაშასადამე, არ შეიძლება თავი ვინუგეშოთ იმით, რომ ჩვენ ბევრნი ვართ, ხოლო ისინი, ტროცკისტი მავნებლები, ცოტანი.

უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ისინი, ტროცკისტი მავნებლები, სრულიად არ იყვნენ ჩვენს რიგებში".[1])

ფაშისტური დაზვერვანი და მათი აგენტურა—ეს არის საბჭოთა კავშირზე თავდასხმის იარაღი, ეს არის მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს წინააღმდეგ ომის გამჩაღებელთა იარაღი. ამ დაზვერვათა აგენტები ასრულებენ ამოცანას, რომელიც გერმანელმა იმპერიალისტებმა ჯერ კიდევ მრავალი წლის წინათ დაუსახეს თავიანთ დაზვერვას: „ომის მოწყობა მშვიდობიანობის დროს".

ჩვენი სოციალისტური სამშობლო მისი გაცოფებული მტრებისაგან რომ დავიცვათ, საჭიროა—წითელი არმიის განმტკიცებასთან ერთად — ფხიზლად ვადევნოთ თვალი მტრის ყველა ხრიკებს, შევიპყროთ უცხოეთის დაზვერვათა აგენტები—ჯაშუშები, მავნებლები, დივერსანტები.

უცხოეთის დაზვერვის აგენტის დროზე შეპყრობა ნიშნავს ჩვენი სახელმწიფოებრივი საიდუმლოს დაცვას გატაცებისაგან, დივერსიის თავიდან აცილებას, ე. ი. სოციალისტური სახელმწიფოს მატერიალური ღირებულებათა დაღუპვის, მრავალ ასეულ მშრომელთა ძვირფასი სიცოცხლის დაღუპვის თავიდან აცილებას.

მტრის ჯაშუშებისა და დივერსანტების ფარულ ზრახვათა დროზე გამომჟღავნება, ჯაშუშთა ბუდეების აღმოჩენა არღვევს ფაშისტური სახელმწიფოების ანტისაბჭოთა გეგმებსა და ანგარიშებს, დროებით თავიდან გვაცილებს თავდასხმას საბჭოთა კავშირზე.

„ყოველივე რევოლუცია მხოლოდ მაშინ ღირს რამედ, თუ მას შეუძლია თავი დაიცვას"... ამბობდა ვ. ი. ლენინი.

დიდმა პროლეტარულმა რევოლუციამ თავისი არსებობის ოცი წლის მანძილზე დაამტკიცა, რომ მას შეუძლია თავი დაიცვას.

საბჭოთა საზღვრების ხელშეუხებლობის სადარაჯოზე დგას ჩვენი წითელი არმია რკინის სახკომის კლიმ ვოროშილოვის მეთაურობით. უშუალო ბრძოლა სსრ კავშირის ფარულ მტრებთან ქვეყნის შიგნით — ჯაშუშებთან, დივერსანტებთან, მავნებლებთან—ფაშისტურ დაზვერვათა აგენტებთან — **საბჭოთა დაზვერვის** ამოცანას წარმოადგენს.

საუცხოო და წმინდათა-წმინდაა საბჭოთა დაზვერვის მიზნები და ამოცანები. საბჭოთა დაზვერვა იცავს საბჭოთა ხალხის მშვიდობიან შრომას, სასიხარულო და ბედნიერ ცხოვრებას. იგი განუწყვეტლივ ფხიზლობს, მუდამ სადარაჯოზეა.

საბჭოთა დაზვერვა აგნებს კრაზანების თვით შენიღბულ ბუდეებს, სადაც იმალებიან ტროცკისტ-ბუხარინელი და სხვა ფაშისტი ჯაშუშები, იგი ამჟღავნებს ფარულ მტრებს, რა სახითაც არ უნდა იმალებოდნენ ისინი. საბჭოთა დაზვერვის მარჯვედ მოქნეული მახვილი მისწვდება ხოლმე სოციალისტური სახელმწიფოს ფარულ და ვერაგ მტრებს, დამბლას სცემს მათ საზიზღარ საქმიანობას.

მთელ მსოფლიოში მხოლოდ საბჭოთა დაზვერვა ემსახურება ხალხის ინტერესებს. ამჟღავნებს რა ფაშიზმის, ფაშისტური სამხედრო წრეების ბინძურ ხრიკებს, იგი იბრძვის მშვიდობიანობისათვის ომის წინააღმდეგ. საბჭოთა დაზვერვის მიერ ფარული მტრისათვის მიყენებული ყოველი ზიანი ეს არის ომის გამჩაღებლებისათვის, ფაშიზმისათვის მიყენებული ზიანი. ამჟღავნებს რა დემოკრატიის ჩახრჩობისა და ახალი ომის მომზადების ვერაგულ ფაშისტურ გეგმებს, საბჭოთა დაზვერვა მოქმედებს მთელი მსოფლიოს მშრომელთა ინტერესებისათვის, კაცობრიობის ინტერესებისათვის. საბჭოთა დაზვერვის გამანადგურებელ დარტყმებს ტყუილად კი არ ადევნებენ თვალს ასეთი მგლური გაბოროტებით ფაშისტები, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში ჯაშუშებს, დივერსანტებს, ტერორისტებს, მავნებლებს ჰგზავნიან.

საბჭოთა დაზვერვა ფარული და ვერაგი მტრებისაგან იცავს სოციალისტურ ქვეყანას, რომელიც კაპიტალისტურ გარემოცვაში იმყოფება.

საბჭოთა დაზვერვის პრინციპები სოციალისტური სახელმწიფოს პრინციპებია. საუცხოო საბჭოთა პატრიოტიზმი, ბოლშევიკური იდეურობა და პარტიულობა, მაღალი ზნეობა—ასეთია საბჭოთა დაზვერვის ურყევი საძირკველი. საბჭოთა დაზვერვა ხომ ბოლშევიკური პარტიის, ლენინისა და სტალინის მიერაა გამოზრდილი!

საბჭოთა დაზვერვის მუშაკი—ეს არის საბჭოთა პატრიოტი, რომელსაც მგზნებარედ უყვარს თავისი სამშობლო, რომელიც ხალხისა და ბოლშევიკური პარტიის ერთგული მებრძოლია, რომელიც ყოველთვის მზად არის გასწიროს თავისი სიცოცხლე სოციალისტური სამშობლოს კეთილდღეობისათვის. საბჭოთა დაზვერვის ისტორია, უცხოეთის დაზვერვათა ჯაშუშებთან ბრძოლის ისტორია, ტყუილად როდია აღსავსე არგაგონილი სიმამაცისა და თავდადების, შესანიშნავი გმირობისა და გამბედაობის წარმტაცი მაგალითებით.

VI

საბჭოთა დაზვერვა—ეს არის მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშრომელთა ხორცი ხორცთაგანი და სისხლი სისხლთაგანი. საბჭოთა დაზვერვის მიზნები და ამოცანები—ეს არის ამოცანები საბჭოების ქვეყნის დაცვისა მისი ფარული მტრებისაგან. ხალხთან უმჭიდროესი კავშირი—აი რა აძლევს საბჭოთა დაზვერვას შესანიშნავ სიფხიზლეს, ძალას და უძლეველობას! საბჭოთა დაზვერვა „შეიარაღებულია საბჭოთა პატრიოტების მილიონი თვალებით", სთქვეს ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის საკისურების 1 სახელმწიფო ქარხნის მუშებმა და მოსამსახურეებმა. აი რატომაა, რომ, მიუხედავად მთელი თავისი მრავალწლიანი გამოცდილებისა, უაღრესად მოქნილი ხერხებისა და შენიღბვისა, ფაშისტური დაზვერვანი და მათი აგენტები სასტიკად დამარცხებულნი აღმოჩნდნენ საბჭოთა ქვეყნის დაზვერვის მიერ. ვერავითარმა საფარმა ვერ იხსნა მოღალატური მძორი, რომელმაც გაჰყიდა თავისი სამშობლო. ფხიზელმა საბჭოთა დაზვერვამ გამოიცნო ჯაშუშები, დივერსანტები მავნებლები და ალკვეთა მათი საზიზღარი საქმიანობა.

ყოველი პატიოსანი მშრომელი, სოციალისტურ სამშობლოს ყოველი შვილი — საბჭოთა დაზვერვის თანაშემწეა. თვითეული მშრომელი ხომ უაღრესად დაინტერესებულია იმით, რომ ამხილოს ჯაშუში, გაუკავოს სისხლიანი ხელი უცხოეთის დაზვერვის ტროცკისტ, ბუხარინელ ან სხვა აგენტს—დივერსანტს, მავნებელს.

„კაპიტალისტურ სამყაროში დაზვერვის ორგანოები მშრომელი მოსახლეობის ფართო მასებისათვის წარმოადგენენ სახელმწიფო აპარატის ყველაზე უფრო საძულველ ნაწილს, რამდენადაც ისინი დგანან ერთი მუჭა გაბატონებული კაპიტალისტების ინტერესთა სადარაჯოზე. ჩვენში, პირიქით, საბჭოთა დაზვერვის ორგანოები, სახელმწიფოებრივი უშიშროების ორგანოები დგანან საბჭოთა ხალხის ინტერესთა სადარაჯოზე. ამიტომ ისინი სარგებლობენ მთელი საბჭოთა ხალხის დამსახურებული პატივისცემით, დამსახურებული სიყვარულით"—ასე ამბობდა ა.-წ. 27 ივლისს სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის სხდომაზე საბჭოთა დაზვერვის სახელოვანი ხელმძღვანელი, შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი ნიკოლოზ ივანეს-ძე ეჟოვი.

ჯაშუშურ და დივერსიულ გამოსვლათა რამდენი ბოროტი ცდა და საზიზღარი გეგმა აცილებულ იქნა თავიდან მშრომელთა—მუშათა, კოლმეურნეთა, მოსამსახურეთა, წითელარმიელთა თვალგამჭრიახობისა და სიფხიზლის მეოხებით. იაპონიის დიდი ჯაშუში და დივერსანტი კიმ-ზაენი, რომელიც შემდეგ დახვრეტილ იქნა პროლეტარული სასამართლოს განაჩენით, აღმოჩენილ იქნა იმ ქარხნის მუშების დახმარებით, სადაც ამ ნაცადმა ჯაშუშმა მოახერხა შეპარულიყო როგორც „მუშა".

მუშებმა ამხ. შ-მ და ა-მ, რომლებიც პეტროვსკის ბაღში დასეირნობდნენ, დაინახეს კიმ-ზა-ენი, რომელიც გზის პირად თითქოს ვილოცას ელოდა. მიმავალი შ. და ა. რომ შეამჩნია, კიმ-ზა-ენი სწრაფად შევიდა საზოგადოებრივ საპირფარეშოში. რამდენიმე წუთის შემდეგ ამხ. შ-მ და ა-მ დაინახეს, რომ კიმ-ზა-ენი გამოდიოდა საზოგადოებრივ საპირფარეშოდან, მაგრამ სხვა კოსტუმით — თეთრი ხალათით პიჯაკის ნაცვლად და უსათვალებოდ, ბოხჩით ხელში. გადაცმა ამხ. შ-ს და ა-ს საეჭვოდ ეჩვენათ, ისინი ამოეფარნენ ხეებს და კიმ-ზა-ენს თვალთვალი დაუწყეს. უკანასკნელი ცდილობდა გასცლოდა მათ, დიდხანს იტრიალა ქალაქში, შემდეგ დაბრუნდა წინანდელ ადგილზე და წავიდა ერთ-ერთი უცხოური საელჩოს ავტომობილით, რომელიც მას ელოდებოდა. ამხ. შ-ს და ა-ს მიერ ნახულის შეტყობინებამ ხელი შეუწყო იაპონიის დაზვერვის უდიდესი აგენტის გამომჟღავნებას.

ერთ მსხვილ ქარხანაში ხარატმა მუშამ ლ-მ შეამჩნია, რომ მზეთავი როგორღაც არაწესიერად მუშაობდა. მზეთავი ხშირად გაუზეთავს სტოვებდა მოტორების საკისურებს, რის გამო მანქანები ფუჭდებოდა. ლ-მ უფრო მეტი ყურადღებით დაუწყო თვალისდევნება მზეთავს. ერთხელ მან დაინახა, რომ მზეთავი სამუშაო დღის დასრულების შემდეგ დარჩა საამქროში და დაიწყო ლურსმნების ჩაჭედვა საკისურებში და ქანჩების მოშვება ტრანსმისიების ბორბლებზე. ნახულის შესახებ ლ-მ აცნობა სახელმწიფოებრივი უშიშროების ორგანოებს. აღმოჩნდა, რომ „მზეთავი" იყო მონაწილე ჯაშუშურ-დივერსიული ბრბოსი, რომელიც ქარხნის მოსპობას ამზადებდა.

(გაგრძელება იქნება)

„პრავდა".

*) გაგრძელება იხ. „კომუნისტის" 4 და [illegible]

1) ი. სტალინი. პარტიული მუშაობის ნაკლოვანებებისა და ტროცკისტ და სხვათა თვალთმაქცთა ლიკვიდაციის ღონისძიებებზე. საქ. კ. პ. (ბ) ც. კ. პარტგამომცემლობა, 1937 წ. გვ. 38.



ქუთაისში, [illegible] მწერალი ნინო ნაკაშიძე უკითხავს ბავშვებს [illegible]

ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

# შოთა რუსთაველი ფოლკლორში

(მესხეთ-ჯავახეთში)

[illegible]

ახალციხის, ასპინძის, ახალქალაქის და ადიგენის რაიონებში. ამ პუნქტების უმრავლესობაში გამოვლინებულ იქნა ფოლკლორის საინტერესო მასალა. კერძოდ, ჩაწერილია „ვეფხისტყაოსნის" ამბავთა 30-მდე ხალხური ვარიანტი, რომლებიც საგრძნობლად განსხვავდება პოემის სიუჟეტისა და ტექსტისაგან.

საინტერესოა ზეპირად გადმოცემული ბიოგრაფიული მასალა შოთა რუსთაველის შესახებ, მიღებული სტეფანე გზირიშვილისაგან, პავლე ოჩიგაშვილისაგან (სოფ. უდე) და სხვ.

ამ მასალებიდან ვღებულობთ უდიდესი ქართველი პოეტის მთლიან და სრულ ხალხურ ბიოგრაფიას, რომელიც წერილობითი სახით არ მოიპოვება.

ექსპედიციამ იპოვა და ჩაწერა ლეგენდები თამარ მეფეზე, სარგის თმოგველზე (რომელიც გადმოცემით იყო შოთა რუსთაველის (ჰოლის) ჩინოს ძმა), და სხ., 250-მდე ზღაპარი, 150-ზე მეტი გამოცანა და ანდაზა. ახალციხეში აღმოჩენილ იქნა „ვეფხისტყაოსნის" ხელნაწერი, გადაწერილი გვარამაძის მიერ გასული საუკუნის 40-იან წლებში.

სექტემბრის დამდეგს რუსთაველის სახ. ინსტიტუტში განზრახულია ექსპედიციის შედეგების განხილვა.

რუსთაველისადმი მიძღვნილი იუბილეს წინ, სამეცნიერო კონფერენციაზე წაკითხული იქნება მოხსენება — მესხეთ-ჯავახეთის ზეპირ გადმოცემათა მასალები რუსთაველის შესახებ". მოპოვებული მასალის ნაწილი გაიგზავნება გამოფენაზე. შეგროვილ მასალის საფუძველზე ორ ტომად გამოიცემა წიგნი „მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორი", ამასთან პირველ ტომში შევა პროზაიკული მასალა „რუსთაველზე მესხეთ-ჯავახეთის ფოლკლორში", გადმოცემანი, ლეგენდები და მეორე ტომში — პოეტური მასალა: სიმღერები, ლექსები და ა. შ.

წიგნი ილუსტრირებული იქნება 200 დოკუმენტირებული ფოტო-სურათით. განზრახულია პირველი ტომი გამოიცეს იუბილეს წინ. (საქდესი).

# კოლმეურნეობა ელექტროსადგურს აშენებს

[illegible]

ქალის ამხ. მ. პლიევას ინიციატივით, გადასწყვიტეს აიშენონ საკუთარი პატარა ჰიდროელექტროსადგური.

სადგურის აშენება უკვე დაიწყეს. განზრახული აქვთ სადგური გახსნან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის.

# ტურისტების მოზღვავება ქუთაისში

**ქუთაისი, 5** აგვისტო (საქდესი). ყოველ დღე ოსეთის სამხედრო გზით, მამისონის უღელტეხილით, საბჭოთა კავშირის ყოველი კუთხიდან ქუთაისში ჩამოდიან ტურისტებისა და ექსკურსანტების ჯგუფები.

ქუთაისის ტურისტის სახლმა მარტო ივლისში გაატარა 900-დე ტურისტი და ექსკურსანტი, რომლებიც უდიდესი ინტერესით ეცნობიან ქალაქს, მის ფაბრიკებს, ქარხნებს, ახალშენებსა და ქალაქის მახლობლად მდებარე სრულიად-საკავშირო მნიშვნელობის კურორტ წყალტუბოს.

ტურისტები ეცნობიან აგრეთვე ძველი დროის ისტორიულ ძეგლებს: გელათს, გეგუთს, მწვანეყვავილის ციხეს, ბაგრატის ტაძრის ნანგრევებს და სხვ.

# ხობის რაიონის კოლმეურნეთა გუნდი

შვიდი წელია, რაც ხობის რაიონის კოლმეურნეთა ეთნოგრაფიული გუნდი ჩამოყალიბდა. გუნდში 45 კაცი შედის. ხელმძღვანელობს ცნობილი ლოტბარის — ძუკუ ლოლუას მოწაფე პორფილე გაბელია. გუნდს რეპერტუარში დასავლეთ საქართველოს 55-ზე მეტი სიმღერა აქვს. ჰყავს მეჩონგურეთა და მოცეკვავეთა ანსამბლი.

განსაკუთრებით კარგად ასრულებს გუნდი ახალ მეგრულ სიმღერას, „ლავრენტი ბერიას" და მეგრულ ყანურსა და „მეურმეს".

ხობის რაიონის კოლმეურნეთა გუნდმა მოიარა დასავლეთ საქართველოს ქალაქები, სადაც იგი მომსახურებას უწევდა წარმოება-კოლმეურნეობებს. ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მოწვევით გუნდი საგასტროლოდ ჩამოდის თბილისში.

# მწერალთა კავშირში

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა გადასწყვიტა მოაწყოს მწერალთა და პოეტთა შემოქმედებითი მუშაობისადმი მიძღვნილი მთელი რიგი კრებები, დისკუსიები და სხვ.

პოეტთა სექციაში განიხილავენ მასალას, რომელიც განზრახულია შეტანილ იქნეს კრებულში კოლხიდის შესახებ. ეს კრებული გამოდის დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 20 წლისთავისათვის. გათვალისწინებულია აგრეთვე მოაწყონ დისკუსია კ. კალაძის ლექსების წიგნის შესახებ, ი. მოსაშვილის, პ. სამსონიძის და კ. ნადირაძის შემოქმედებითი ანგარიშები, მთელი რიგი მოხსენებანი რუსთაველის პოეტიკის შესახებ. დიდად საინტერესო იქნება ქართველი პოეტების იმ ლექსებისა და პოემების განხილვა, რომლებიც მოთავსებული იყო გაზეთ „კომუნისტში" მიმდინარე წელს.

პროზაიკოსების სექციაში ატარებენ დისკუსიას მ. ჯავახიშვილის ახალ რომანის „ქალის ტვირთის". შესახებ. წაკითხული იქნება აგრეთვე მოხსენებანი დ. დემეტრაძისა — პავლენკოს რომანზე „აღმოსავლეთში", დ. შენგელაიასი — თემაზე „ქართული ნოველისა და მოთხრობის შესახებ" და მოხსენება ბ. ჟღენტისა პ. საყვარელიძის შემოქმედების შესახებ.

სპეციალურ კრებაზე განხილული იქნება კ. ლორთქიფანიძის რომანის „ძირს სიმინდის რესპუბლიკის" მეორე წიგნი.

7 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე, მწერალთა სასახლეში (მაჩაბლის, 13) შესდგება კამათის გაგრძელება ამხ. შალვა აფხაიძის მოხსენების გამო მიხ. ჯავახიშვილის რომანის „ქალის ტვირთის" შესახებ.

დასწრება მოსაწვევი ბარათებით.

# სეზონი კარგად მომზადდა, პიესები კი არ არის

[illegible]

გიაშვილთან, ს. ერთაწმინდელთან, ნ. თარხნიშვილთან, გ. ბერძენიშვილთან. დრამატურგებმა მიიღეს ავანსები და ზოგმა მათგანმა თავისა მისია ამით ამოწურულად ჩასთვალა.

ასე, მაგალითად, ნ. თარხნიშვილს ხელშეკრულების თანახმად პიესა უნდა წარედგინა მაისში, მაგრამ არა თუ არ წარადგინა, არამედ არც არაფერი უცნობებია თეატრისათვის. ხელშეკრულების დადების შემდეგ იგი თეატრს თვალით აღარ უნახავს.

ასევე „უგზო-უკვლოდ" დაიკარგა ვ. გაბესკირია. რეპერტუარის საკითხებზე მოწვეულ თათბირებს ის გაურბის, არც არაფერს ატყობინებს თეატრს თავისი მუშაობის შესახებ.

პ. სამსონიძე და გ. ბუხნიკაშვილი ჯერ სხვა თეატრებისათვის მუშაობენ, ხოლო როცა მოიცლიან, მერე შეუდგებიან პიესის წერას მოზარდთა თეატრისათვის. პ. სამსონიძემ ხელშეკრულების თანახმად პიესა უნდა ჩააბაროს 1 ოქტომბერს, ახლა აგვისტოა და მას ჯერ თემაც არა აქვს საბოლოოდ არჩეული.

ეს იმას ნიშნავს, რომ მოზარდ მაყურებელთა თეატრის სარეპერტუარო გეგმას ჩაშლის საფრთხე მოელის. დრამატურგთა დაუდევრობით თეატრს არ მოეპოვება არც ერთი ცოტად თუ ბევრად ღირსშესანიშნავი ორიგინალური დრამატიული ნაწარმოები. ამიტომ არის, რომ თეატრმა თავისი ყურადღება ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავისათვის თარგმნილ პიესაზე შეაჩერა. განზრახულია დაიდგას „პავკა კორჩაგინი", ნ. მალკინას ინსცენირება ნ. ოსტროვსკის ცნობილი რომანისა „როგორ იწრთობოდა ფოლადი". რეპერტუარში შეტანილია აგრეთვე მეორე თარგმნილი პიე-

განყოფილების გამგე ვ. ბოკუჩავა — მ. გოგიაშვილთან. ამხ. ა. დუდუჩავამ იკისრა კონსულტირება ბ. გამრეკელისა და გ. ნახუცრიშვილისა, რომლებიც სწერენ პიესას ლადო კეცხოველზე.

ნ. თარხნიშვილის მიმართ გადაწყდა მკაცრი ზომების მიღება. მისი საქმე პროკურორს გადაეცემა.

აღსანიშნავია დრამატურგთა სექციის სრული გულგრილობა დრამატურგებისა და თეატრების ურთიერთობის საკითხში, სექცია არავითარ ყურადღებას არ აქცევს თავის წევრებს, რომ მათ პირნათლად შეასრულონ თეატრების წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი. ზოგიერთი დრამატურგის მხრივ პირდაპირ წამგლეჯაობასთან გვაქვს საქმე: ერთსადაიმავე დრამატურგს სამ თეატრთან აქვს დადებული ხელშეკრულება, ავანსი სამივე ადგილას აქვს აღებული, პიესა კი უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ ერთი შეიძლება დასწეროს.

ასეთი პრაქტიკა უნდა აღიკვეთოს. დრამატურგთან დადებული ყოველი ხელშეკრულება საბოლოო დასტურისათვის უნდა წარედგინოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს. იგი უნდა აწესრიგებდეს თეატრისა და დრამატურგის ურთიერთობას.

ზ. ბ.

# სტუდენტთა ექსკურსიები

თბილისის ვ. ი. ლენინის სახ. რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის სტუდენტებისათვის ზაფხულის პერიოდში ეწყობა მთელი რიგი ექსკურსიება.

ინსტიტუტის პარტიული და კომკავშირული პოლიტკაბინეტის 17 პროპაგანდისტი გაემგზავრა მოსკოვს, რათა გაეცნონ პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობის დაყენებას მოსკოვის ინსტიტუტში. ისინი მოსკოვში დაათვალიერებენ ლენინის მუზეუმს და წითელი დედაქალაქის სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებს. 15 კაცი მოხაწილეობას იღებდა ველოგადარბენაში ქალაქ ორჯონიკიძემდე.

[illegible]

# არტისტები სტუმრად მწყემსებთან

4 აგვისტოს საზაფხულო სადგომ „ქციაზე", რომელიც მდებარეობს ბორჯომის რაიონის წარმტაც მთიან ადგილას, მიემგზავრება მეცხოველეობის ტრესტის მიერ მოწყობილი სპეციალური კულტბრიგადა.

ეს თავისებური გამსვლელი დასი შესდგება 5 კაცისაგან. წითელი კუთხეებისათვის ბრიგადას მიაქვს ჩონგურები, სალამურები, დოლი, პატეფონი ფირფიტებით, ბელადების პორტრეტები, ქართველ კლასიკოსთა პორტრეტები, პლაკატები, ლოზუნგები და ბროშურები ახალი საარჩევნო კანონის შესახებ.

ბრიგადა საბჭოთა მეურნეობის სადგომ „ქციაზე" დაჰყოფს 7 დღეს, შემდეგ კი გაემგზავრება ჭაჩალ-გორაზე, სადაც ჩაატარებს ასეთსავე მუშაობას.

გამოვლინებულ საუკეთესო მოცეკვავეებისა, მომღერლებისა და მთხრობელებისგან ადგილობრივ მოწყობილი იქნება სამხატვრო-თვითმოქმედი წრეები (საქდესი).

# ქართულ-რუსული ლექსიკონი

აკადემიკოს მარის სახელობის ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის ინსტიტუტმა, მიიღო რა მხედველობაში დიდი მოთხოვნილება ქართულ-რუსული ლექსიკონისა, ა.-წ. 22 ივლისს მოიწვია მეცნიერ მუშაკთა საწარმოო თათბირი, რომელსაც დაესწრნენ პროფ. ვ. ბერიძე, პროფ. გ. ახვლედიანი, პროფ. ვ. თოფურია, პროფ. ს. ჯანაშია, მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ფილიალის სწავლული მდივანი ამხ. ქ. იმედაძე და სხვ.

თათბირზე განხილულ იქნა ქართულ-რუსულ ლექსიკონის შედგენასთან დაკავშირებული პრინციპული და ორგანიზაციული საკითხები.

თათბირის გადაწყვეტილებით, ინსტიტუტმა დაიწყო გაცხოველებული მუშაობა რუსულ-ქართული ლექსიკონის შედგენა-დამუშავებაზე.

ფეხბურთი

# საკავშირო პირველობის გათამაშება

გრძელდება საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება ფეხბურთში. 30 ივლისს გაიმართა „ა" ჯგუფის გუნდების მორიგი შეჯიბრებები. ლენინგრადში თამაშობდნენ მოსკოვის „მეტალურგი" და ლენინგრადის „დინამო". შეჯიბრება მოიგო „მეტალურგმა" ანგარიშით 5:1. ეს მეორე გამარჯვება მოიპოვა „მეტალურგის" ახალგაზრდა გუნდმა. პირველად მან კიევის „დინამო" დაამარცხა ანგარიშით 2:1.

იმავე დღეს კიევში თამაშობდნენ მოსკოვის „ლოკომოტივი" და კიევის „დინამო". შეჯიბრება ყაიმით დამთავრდა—1:1.

8 აგვისტოს დილით კიევში მიემგზავრება თბილისის „დინამოს" ოსტატთა გუნდი. 12 აგვისტოსათვის დანიშნულია თბილისის და კიევის „დინამოს" გუნდების შეხვედრა.

კიევიდან თბილისელები მოსკოვს გაემგზავრებიან. 18 აგვისტოს მოხდება მათი შეხვედრა მოსკოვის „დინამოსთან".

დღეს, საღამოს 6 ნახ. საათზე, თბილისის კიროვის სახელობის ფიზკულტურის პარკში შესდგება საკავშირო თასის გათამაშების მესამე წრე კალათბურთში. თამაშობენ ბაქოს „ნეფტიანიკების" და თბილისის „დინამოს" გუნდები.

თბილისის გუნდი საკავშირო თასის ერთერთი უძლიერესი პრეტენდენტია, მასში თამაშობენ საქართველოს ცნობილი კალათბურთელები რ. მდივანი, ლ. ფალავანდიშვილი, ყიასაშვილი, ციციშვილი და ოგანეზოვი.

იმ შემთხვევაში, თუ თბილისის გუნდი მოუგებს ბაქოს გუნდს, 12 აგვისტოს მეოთხედ ფინალში ისინი თბილისშივე შეხვდებიან საბჭოთა კავშირის ერთერთ ყველაზე უძლიერეს გუნდს — ლენინგრადის „კრასნაია ზარიას".

# ტყიბული—დღეს

**ტყიბული, 5** აგვისტო (საქდესი). წლითი-წლობით იცვლება წარსულში სრულიად კეთილმოუწყობელ ქალაქ ტყიბულის სახე.

ტყიბულში უკანასკნელი წლების მანძილზე მრავალი სახლი აშენდა. წელს აშენდა დიდი ლამაზი 20-ოთახიანი შენობა, სადაც ამჟამად მოთავსებულია პარტიის რაიკომი, რაიაღმასკომი და რაიონული გაზეთის რედაქცია. შენდება კიდევ ორი სახლი, სადაც იქნება მუშათა და მოსამსახურეთა ბინები.

1 ოქტომბრისთვის მზად იქნება პარტკაბინეტის შენობა. რკინიგზის სადგურის მახლობლად განზრახულია მძლავრი ქვანახშირის ამაუხვებელი ქარხნის აგება. მშენებლობის პროექტი უკვე შედგენილია, ქარხნის ტერიტორიაზე აგებულ იქნება აგრეთვე რამდენიმე შენობა მუშებისა და სპეციალისტებისათვის. მოედანი მშენებლობისათვის უკვე გამოყოფილია. წელს მშენებლობაზე დაიხარჯება 90.000 მანეთი.

დაიწყო ქალაქის აბანოს შენება. აბანო მზად იქნება მიმდინარე წლის 1 დეკემბრისათვის.

რკინიგზის სადგურის მახლობლად გაშენდება ბაღი დეკორაციული მცენარეებითა და ყვავილნარებით.



შოთა რუსთაველის ეპოქის რვალის თუნგი, მოსევადებული ვერცხლით და წითელი სპილენძით, ადამიანების, ფრინველების და ცხოველების ორნამენტებით.

ფოტო რ. აკოფოვისა.

# ახალი ამბები

○ ოქტომბრის რევოლუციის 20 წლისთავთან დაკავშირებით თბილისის სამხატვრო გალერეიაში ეწყობა სურათების დიდი გამოფენა. მხატვრები უკვე შეუდგნენ საგამოფენო მასალაზე მუშაობას.

○ საქ. ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის მოწვევით, აგვისტოს დამდეგს მოსკოვიდან თბილისში ჩამოვა ცნობილი ფრანგი ჩოგბურთელი ანრი კოშე. კოშე სავარჯიშო მატჩებს ჩაატარებს საქართველოს საუკეთესო ჩოგბურთელებთან.

○ თბილისის საბჭოს ჯანმრთელობის განყოფილებამ შაუმიანის ქუჩაზე გახსნა ახალი სასწრაფო დახმარების პუნქტი.

○ ხობში დამთავრდა აბჰესის ქვესადგურის მშენებლობა. ელექტრონის შუქით მოიფინა რაიონის წარმოება-დაწესებულებები.

# შემთხვევები

○ **ხანძარი.** 2 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, კიბალჩიჩის შესახვევში № 1 „კერასინკის" გაუფრთხილებლად ხმარების გამო გაჩნდა ხანძარი. დაიწვა ორი ოთახი, რომელიც ეჭირათ ს. ბერაძეს და ი. ყაზაროვს, დაზიანდა აგრეთვე მოქ. ბრაგოიანის ორი ოთახი და აივნის ნაწილი. ადამიანის მსხვერპლი არ ყოფილა. ცეცხლი მალე ჩააქრეს.

# პარტკალენდარი

## ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

7 აგვისტო

ალკკ კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „კომკავშირის პოლიტწრეების მუშაობის ფორმები და მეთოდები"—ქართულ და რუსულ ენებზე. კონსულტანტი ქართულად ამხ. ცხადაძე, რუსულად — ამხ. ვართანოვი. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

სარედაქციო კოლეგია



**პიონერთა ბანაკი ქვიშხეთში.** სურათზე: პიონერები ზოია კოკაია, ოთარ ტყერილაშვილი და ვალენტინ გლადიშევი ბრუნდებიან ბანაკში მტკვარზე თევზაობიდან.

ფოტო რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.)

ოთარ ეგაძე.

# ყვავილების ქვეყანა

თბილისის პიონერთა კულტურისა და დასვენების პარკმა კარი გულუხვად გაუღო პატარა მეგობრებს, და მთელი წლის განმავლობაში ნამეცადინევ ბავშვებს მშვენიერი დასვენება, კულტურული გასართობები და მხიარული ატრაქციონები მოუწყო.

თბილისი ღარიბი როდია ბაღებით, მაგრამ პიონერთა პარკი მარტო ს. ორჯონიკიძის ბაღს თუ ჩამოუვარდება. მრავალნაირი ხე და ლამაზი ყვავილი ხარობს ნორჩი თაობის საკუთარ ბაღში, ათიოდე წლის წინათ უსაქმური და ფუქსავატი დარდიმანდების თავშესაყრელ ადგილად რომ იყო გადაქცეული და საქართველოს „მონტე - კარლოდ" წოდებული.

მერე ვინ დაიარება აქ?.. ვინა ყნოსავს ქორფა ყვავილების სურნელს?.. ვინ ერთობა ფრენბურთის მოედანზე, არბი-ჩამორბის „მთა გორაკზე", ტრიალებს „ღერძზე", ქანაობს „რგოლებზე", ვარჯიშობს „ორძელზე", ჯამბაზობს „დვირზე", ხერხიანად მიცოცავს ხარიხაზე და შვედურ კიბეზეც ღონესა და მოქნილობას იზომავს?.. ვინ არიან, რომ ახალ-ახალ ხმოვან კინო-სურათებს უყურებენ, „საქფილეგთის" მსახიობთა გამოსვლას იწონებენ და ბევრს სხვისას „ცოტა" რამ თავისსაც უმატებენ,— ვინა და აქ დარგული ყვავილებივით ახლად გაფურჩქნილი მესამე თაობა, სოციალისტურ სამშობლოს დიდ მომავალს რომ ჰპირდება, სასწავლო წელი წარმატებით რომ დაამთავრა და ახლა კუთვნილი დასვენებით სარგებლობს.

ყველაფერია პიონერთა კულტურისა და დასვენების პარკში, რასაც კი ბავშვის გული მოითხოვს. მხიარულად თამაშობენ ისინი და სწავლობენ კიდეც. ისვენებენ და შრომობენ.

ამასწინათ საჭადრაკო ტურნირი მოაწყეს. პარკის ოცზე მეტი ფალავანი ოსტატ გოგლიძეს შეება და არც ხუმრობდნენ! ერთნი გოგლიძემ ცოდნით დაამარცხა, სხვები კი გაჭირვეულდნენ და ყაიმზედ დაითანხმა.

ყოველდღიურად თამაშობენ ბავშვები ჭადრაკს. იხილავენ ახალ ვარიანტებს და დებიუტებსა და ენდშპილში იწრთობიან.

ყიჟინი და ჟრიამული სუფევს სათამაშო მოედნებზე, ასეული ბავშვები ფეერიულ ფერხულში ებმიან და სიხარულის გრძნობებით ივსებიან. ცქრიალა რუსი გოგონები „იაბლოჩკოს" ცეკვავენ, უკრაინელი „გოპაკს" ბუქნავს, სომხები მოქნილ „შაითარმას" ახვევენ, თურქები გრაციულად დაჰქრიან და ქართველებიც კეთილშობილ „დავლურს" უვლიან და ცეცხლოვანი „მთიულურით" მიწას ბუღს ადენენ... შემდეგ ქურთები და აისორებიც მხიარულ „ქოჩარის" დაჰყვებიან. ბევრჯერ მოცეკვავეთა ანსამბლი ესტრადაზეც ადის და მრავალთვალიანი აუდიტორიის წინ ნიჭისა და ხერხის ტრიუმფს აწყობს.

არც მუსიკაში ჩამორჩებიან ბაღის პატრონები. ოცმა პიონერმა შერეული სიმებიანი ორკესტრი შეჰკრა, და უნდა ნახოთ, რა სიხარულით გამოდიან სცენაზე და რა ზომისა და რიგის ტაშით დაჯილდოვებული ბრუნდებიან უკან.

სიდინჯე, დაკვირვება და წესრიგი მეფობს სასროლო ტირში. თვალმახვილი ბავშვები გულისფანცქალით მოელიან, სანამ თეთრგულა ნიშანს ტყვიას ზუსტად მოარტყამენ და ნასიამოვნები ხელმძღვანელიც რიხიანად დაიძახებს:—ათიდან ათი.

საკუთარი სნაიპერები ჰყავს პარკს. მე-29 სკოლის 8 წლის ნათელა ბორჯაძემ ოცდაათიდან ოცდაშვიდი მოარტყა. ცხოველი ინტერესით ესვრიან ბავშვები კაცობრიობის მტერს, ზერასობრივი „მოიერიშის" ბულდოგისებურ თავს. ნათელამაც მიზანს გარჯით მიაღწია, ფაშისტ-არამზადას ტყვია თვალში ჰკრა და ბავშვებში გახარებული შეერია.

როცა მზე ჰკადნიერდება და რიდსა ჰკარგავს, მაშინ საბანაო აუზის ორივე კარი იღება. გასაგრილებლად მოსულ ბავშვებს ექიმი შინჯავს, დარიგებას აძლევს და საბანაოდ წყალში უშვებს.

მოზრდილი და სუფთა აუზში სიამოვნებით ჰყუმპალაობენ ბავშვები. შემდეგ შხაპებ ქვეშ სუფთა წყლით განიბანებიან და ადგილს ახლა სხვას დაუთმობენ.

გაგრილდებიან და კვლავ დასძახებენ გაბმულ კახურსა და ჩელას. დრო და დრო კი სახელდახელოდ გამომტყვრალი თვითმარქვია „დირიჟორის" პალტის ქვეშ დგებიან და ტემპერამენტით ალსავსე რევოლუციურ სიმღერას დასძახებენ... სტალინზე სიმღერას იტყვიან და არც ტელმანისას დაივიწყებენ.

პარკში ბავშვთა ტექნიკური სადგურიც არის მოთავსებული. ავიაციით დაინტერესებული პიონერები საქართველოს საპლანერო შეჯიბრებისათვის ემზადებიან. რადიომოყვარულნი მიმღებ და გადამცემ აპარატებზე ოსტატდებიან და კავშირგაბმულობის ცნობებს შეისწავლიან. ფოტომოყვარულები „ფოტოეტიუდებს" იღებენ, ხოლო მხატვრები მოლბერტებს გაშლიან და აკვარელის ფერთა ჰარმონიას აღწევენ.

როცა ცეკვითა და ლხენით მოილლებიან, ბაღში უხვად ჩამწკრივებულ განსაკუთრებული ზომისა და ყალიბის სკამებზე ჩამოსხდებიან და ნეტარდასვენებას ეძლევიან. ზოგი ჟურნალ-გაზეთებს მიეტანება, სხვები კი „კარუსელის" ქოჩორა და კუდაკრულ ცხენებს მოახტებიან და ალმაფრენას მიეცემიან.

საღამოს 6 საათი რომ მოაღწევს, სასულე ორკესტრის გუგუნი პარკის მყუდრო ადგილებსაც მიატანს... ბავშვები ქართულ და რუსულ კლასიკოსთა ნაწარმოებებს ისმენენ. გულისყურით სწვდებიან მოცარტისა და ბეთჰოვენის ჰანგებს და მხიარული სახით ხვდებიან შტრაუსისა და ლეგარის მსუბუქ და კეკლუც ჰიმნებს.

ბევრი კარგი ამბავია ბაღში, მაგრამ ნაკლსაც რომ თვალი დაუღია?!. როცა გართობით მოქანცული ბავშვები გემრიელი, ნოყიერი და იაფფასიანი საუზმის მისაღებად ბუფეტისაკენ მიდიან, — რიგი ჩნდება. ბავშვები საუზმეს ელიან და სჩივიან:—სირცხვილი თბილისის კაფე-რესტორანების მმართველ კილასონიას, რომ ჯიუტობს და სასადილოს არ გვიხსნისო... მართლაც ქვაგულის კაცი ყოფილა „ძია" კილასონია!

არც საბავშვო ტექნიკური სადგურია განებივრებული. ერთი ბავშვი რომ რადიო-ტალღებს იჭერს, მეორე საქმიანი იერით რაღაცას ოსტატობს და გადაბმულად აკაკუნებს. ბავშვთა ტექნიკური სადგურის სახელოსნოებს სივიწროვე და უსახსრობა აწუხებთ, ხოლო თბილისის განათლების განყოფილებას არც ერთი და არც მეორე.

რატომ არის, რომ ბაღი მხოლოდ ზაფხულში მუშაობს? კალენდარით რომ ზაფხულს გაზაფხული უსწრებს და მას კიდევ ზამთარი უძღვს წინ?.. რატომ არის, რომ ცვლაობის დროს ბავშვები პედაგოგიური მეთვალყურეობის გარეშე დაიარებიან პარკში? განა მართალნი არ არიან პარკის ზოგიერთი გულშემატკივარი ხელმძღვანელნი, როცა ამას მუდმივი შტატის უქონლობით ხსნიან?

საამური სიცოცხლით ცხოვრობს ყვავილების ქვეყანა—თბილისის პიონერთა კულტურისა და დასვენების პარკი. მალე მცხუნვარე ზაფხული დაილევა და ჯანღონით აღვსილი მოწაფეობა თავის სანატრელ სკოლას დაუბრუნდება. დაუბრუნდება და გაორკეცებული მონდომებით სწავლას შეუდგება, რომ შეასრულოს ამხ. ბერიასთვის მიცემული პიონერული პირობა—„ისწავლონ კარგად და ბეჯითად".


დღეს საკინოფიკაციო თეატრებში

| | |
|---|---|
| ოქტომბერი 7, 9, 11 | ხმოვანი ფილმი ღამის დამმარცხებელნი<br>პროგრამის გარეშე გმირთა შეხვედრა |
| დამკვრელი საზამთ. 6-30, საზაფხ. 9. | საზაფხ. შენ. ხმოვ. ფილმი პარტიული ბილეთი<br>საზამთ. „ „ ანტეკი პოლიცმეისტერი |
| კომკავშირელი საზამთ. 6-30, საზაფხ. 9 | საზამთ. შენ. ხმოვანი ფილმი მარიონეტები<br>საზაფხულო შენ. უ მ ზ ი თ ვ ო |
| რ. ლუქსემბურგის სახ. 7, 8-45, 10-30 | ხმოვანი ფილმი ფ ე დ კ ა |
| 26 კომუნ. სახელობის საზამთ. 6-30, საზაფხ. 9 | ხმოვანი ფილმი ა ხ ა ლ გ ა ზ რ დ ო ბ ა |
| კომინტერნი 9, 11 | ხმოვანი ფილმი უკანასკნელი მასკარადი |
| არსენა (კიროვის სახ. რაიონი) 7, 8-40, 10-20 | ხმოვანი ფილმი ქალიშვილი კამჩატკიდან |
| ახალი ამბები | კინო ჟურნალები № 30, № 31, საბჭოთა ხელოვნება № 4. |

საქფილეგთის საზაფხულო თეატრი

| | | |
|---|---|---|
| | 6 აგვისტოს ტალ. № 59<br>ცისფერი მაზურკა | 7, 8 და 9 აგვისტოს მოსკოვის ოპერეტის სახ. თეატრის პრემიერის ბაგიანა ბახის გასტროლები<br>7 — ხალვა, 8 — როზ-მარი, 9 — მოცეკვავე კატია.<br>მუდმივი ადგილები გაუქმებულია. |
| ღია ესტრადა<br>6 აგვისტოს ცელესტინა პოოლის და ოტო სკუტეცკის ჩ. ხოსლოვაკური ჯაზის გასტროლები | წ. ა. ხახლის ბაღი—საქფილეგთის ფილიალი<br>6 აგვისტოს სსრ კავშირის სახ. არტ. ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელ. სახელმწიფო მუსიკ. თეატრის სოლისტთა ანსამბლის კონცერტები ჯაზ—გოლი<br>ვლ. კანდელაკის ხელმძღვ.<br>დასაწყ. 9 ს. 30 წ. | ძერჟინსკის სახ. კლუბი (ყოფ. სტელა)<br>6 აგვისტოს მუსიკ-ჰოლი<br>პანია პანინა, მინინი და კრემატოტი, ოლენინი, ჯონ დანკერი, კოვზმი, სტესენი, ტრიო კოსტელიო, 2 სტრა ტი, რიკომი, პერპერი და ოსტროუმოვი, ვოიგარ კუზმინები. ს. ბაბოვის ჯაზი.<br>დასაწყ. 9 ს. 30 წ. |

75

7 აგვისტოდან

კინო - თეატრებში:

„კომკავშირელი" საზაფხულო

„დამკვრელი" საზაფხულო

„ოქტომბერი" საზამთრო

„როზა ლუქსემბურგის სახ." საზამთრო

„26-ის სახ." საზამთრო და საზაფხულო





საქართველოს სახკინმრეწვის ახალი ხმოვანი მხატვრული ფილმი

„დაკარგული სამოთხე"

რეჟისორი დ. რონდელი სცენარი ზ. მდივნისა

ოპერატორი ბ. ბურავლიოვი კომპოზიტორი ა. ბალანჩივაძე

მხატვრები: დ. კაკაბაძე, ქ. ლებანიძე.

ხმის ოპერატორი დ. ლომიძე.

როლებში: დ. წეროძე, ბ. კრაველიშვილი, ა. ხინთიბიძე, შ. ბეჟუაშვილი, შ. ჯაფარიძე, ა. ჟორჟოლიანი, ვ. ტყემელაშვილი, საქ. სსრ დამსახ. არტ. ვ. ბალანჩივაძე და შ. ხონელი.

50


მისამართები: რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16. გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34, ტელეფონები: სამდივნოსი: 3—36—88, განყოფილე ბებისა: პარტიულის — 3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს —3—73—40, მშრომელთა წერილების—3—73—24, პ.-მგ. მორიგის — 3—26—67, გამომცემლობის — 3—51—81, სტამბის დირექტორის — 3—27—04, ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.